თავისუფალ ერთა მძლე კავშირი, ძმური

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

60

გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 43 (18285) კვირა, 21 თებერვალი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგეგეგა რა სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს, საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი მიღწევებით, იმ რევოლუციური ისტორიული მისიით, რომლებსაც პრინციპულად ასრულებს ჩვენი სამშობლო, ხალხთა მშვიდობის, დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში რომ დგას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ".

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ

60 წლის წინათ — 1922 წლის 30 დეკემბერს— ჩვენი ქვეყნის ხალხთა ნებით შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა ერთიანი საკავშირო მრავალეროვანი სახელმწიფო.

სსრ კავშირის სამოცი წლის თავი ღირსშესანიშნავი მოვლენაა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების, სოციალიზმის ისტორიული მიღწევების დადასტურებაა. ამ სახელოვან საიუბილეო წელს საბჭოთა კავშირი მთელ მსოფლიოს წარუდგება როგორც ერთსულოვანი ოჯახი თანასწორუფლებიანი რესპუბლიკებისა, რომლებიც ერთობლივად აშენებენ კომუნიზმს. მონოლითურია ჩვენი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა. ურღვევია საბჭოთა ხალხის შეკავშირება მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც სათავეში უდგას დიდი ლენინის საქმის ერთგული განმგრძობი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

საბჭოთა ადამიანები თავიანთ დიდ დღესასწაულს ხვდებიან ახალი წარმატებებით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, ბეჯითი, შემოქმედებითი შრომით ახორციელებენ სკკპ XXVI ყრილობის მიერ შემუშავებულ კომუნისტური აღმშენებლობის გეგმებს. ხელმძღვანელობენ რა ყრილობის გადაწყვეტილებებით, პარტია და ხალხი მტკიცედ იბრძვიან ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირის შექმნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგია. ოქტომბერმა დაამსხვრია სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ბორკილები, დამოუკიდებელი ისტორიული შემოქმედებისათვის დარაზმა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი. მუშათა კლასის ხელისუფლების, წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების დაწესებამ მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა ყველა ერისა და ეროვნების თავისუფალ განვითარებას, მათს მჭიდრო ერთიანობასა და მეგობრობას.

ინტერნაციონალური შეკავშირების წამყვანი ძალა გახდა რუსეთის მუშათა კლასი. თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ თავისი რევოლუციური ბრძოლის თავდადებული გმირობით, სამოქალაქო ომის ფრონტებზე მამაცობითა და სიმტკიცით, ბეჯითი შრომით, თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმით მან ყველა ეროვნების მშრომელთა აღიარება და ნდობა მოიპოვა. როგორც ვ. ი. ლენინმა განჭვრიტა, მუშათა კლასმა მშრომელი მასები საბჭოთა წყობილებამდე მიიყვანა. საბჭოთა ორგანიზაციის იდეა ახლობელი აღმოჩნდა რუსეთის ყველა ხალხის მშრომელი მასებისათვის, სადაც და გამოსაყენებელია მათი ცხოვრების სულ სხვადასხვაგვარი პირობების მიმართ.

ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს შექმნაში გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთის სფს რესპუბლიკამ, რომლის გარშემო ნებაყოფლობითს საწყისებზე შეკავშირდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკა. რუსეთის სფს რესპუბლიკა, რომელიც პირველი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო იყო, სსრ კავშირის პირველსახე გახდა. რუსი ხალხი, სიძნელეებისა და გაჭირვების მიუხედავად, უანგარო დახმარებას უწევდა ქვეყნის სხვა ხალხებს მათი რევოლუციური მონაპოვრების დაცვაში, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ყოფილი ეროვნული განაპირა მხარეების ჩამორჩენილობის დაძლევაში.

სსრ კავშირის შექმნა — თავისი შემადგენლობით მრავალეროვანი, იდეოლოგიითა და პოლიტიკით, ორგანიზაციული წყობით, საქმიანობის პრინციპებით ღრმად ინტერნაციონალისტური ბოლშევიკთა ლენინური პარტიის უდიდესი დამსახურებაა. მუშათა კლასის, უფართოესი მასების ძირეული ინტერესების დაუცხრომელი დაცვით, კომუნიზმის იდეალების ერთგულებით, ყველა ხალხის ეროვნული ინტერესებისა და გრძნობებისადმი უდიდესი ყურადღებით, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, შოვინიზმისა და ეროვნული ნიჰილიზმის ყოველგვარი გამოვლინებებისადმი შეურიგებლობით პარტიამ უდიდესი უფლება მოიპოვა იყოს ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა ბელადი. თანამიმდევრული თეორიული, პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობით პარტიამ მათ ჩაუნერგა მტკიცე მისწრაფება გაერთიანებულიყვნენ, დარაზმა მათი ნება და ძალები საერთო მიზნის მისაღწევად — სოციალიზმისა და კომუნიზმის ასაშენებლად. ქვეყნის ხალხთა სოციალური და ეროვნული განთავისუფლების, მათი ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის საქმეში პარტიამ ჩააქსოვა თავისი დაუცხრომელი შრომა, კომუნისტთა ნიჭი და სულიერი გზნება, კადრების ცოდნა და ორგანიზატორული ხელოვნება.

სსრ კავშირის შექმნა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის იდეების, ეროვნული პოლიტიკის ლენინური პრინციპების ცხოველი განსახიერებაა. ახალი ეპოქის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად, ყოველმხრივ განავითარა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შეხედულებანი ეროვნულ საკითხზე. მისი გადაწყვეტის მაგისტრალურ გზად მას მიაჩნდა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისათვის, ახალი, ექსპლოატაციისაგან თავისუფალი საზოგადოების აშენებისათვის. ლენინმა საფუძვლიანად დაასაბუთა, რომ საჭიროა საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად, იმპერიალიზმის ხელყოფისაგან სამშობლოს დასაცავად. ამ კავშირის სიმტკიცის საწინდრად ლენინს მიაჩნდა სრული ურთიერთნდობა, ნებაყოფლობითი თანხმობა, ერთა ურთიერთობაში ყოველგვარი ფორმის უთანასწორობის გამორიცხვა. როგორც მტკიცე ინტერნაციონალისტი, იგი თანამიმდევრულად და შეურიგებლად იბრძოდა ყველა მშრომელის რევოლუციური შეკავშირებისათვის, ეროვნული პრობლემების გადაჭრაში ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ. ლენინის პოლიტიკურმა და ორგანიზატორულმა გენიამ, მისმა გოლიათურმა მუშაობამ გააერთიანა კომუნისტთა მებრძოლი ორგანიზაციის ძალა, პროლეტარიატის რევოლუციური ენერგია და ხალხთა დაუძლეველი მისწრაფება ეროვნული თანასწორობისა და თავისუფლებისადმი. მის მიერ შემუშავებული იდეები განხორციელდა.

ისტორიამ არ იცის სახელმწიფო, რომელსაც უმოკლეს დროში იმდენი რამ გაეკეთებინოს ერთა და ეროვნებათა ყოველმხრივი განვითარებისათვის, რამდენიც გააკეთა სსრ კავშირმა — ყველა ჩვენი ხალხის სოციალისტურმა სამშობლომ. მათი ერთიანობა იწრთობოდა და მტკიცდებოდა ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის დროს, სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში მოძმე ხალხები ერთად დადგნენ სამშობლოს დასაცავად, გამოიჩინეს მასობრივი გმირობა და გამარჯვებისადმი ურყევი ნება, შემუსრეს ფაშისტი დამპყრობნი, იხსნეს მსოფლიოს ხალხები დამონებისა და განადგურებისაგან. დაუვიწყარ საყოველთაო-სახალხო გმირობად იქცა მეურნეობის ომის შემდგომი აღორძინება.

საბჭოეთის ხალხები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ: ერთიან კავშირად გაერთიანება ამრავლებს მათს ძალებს, აჩქარებს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ ქვეყნის ყველა ერის მშრომელებთან საერთო მწყობრში ყოფილი ეროვნული განაპირა მხარეების ხალხებმა, რომლებიც წინათ სამუდამო ჩამორჩენისათვის იყვნენ განწირულნი, გულდაჯერებით გადადგეს ნაბიჯი სოციალისტური მომავლის გზაზე, კაპიტალიზმის გვერდის ავლით, და მიაღწიეს სოციალური პროგრესის მწვერვალებს. ახალი, სამართლიანი სამყაროსათვის ერთობლივ ბრძოლაში იშვა მშრომელთა დიადი ძმობა, ერთიანი ოჯახის გრძნობა, შეიქმნა ხალხთა ურღვევი ლენინური მეგობრობა — მასების აღმშენებლობითი შემოქმედების დაუშრეტელი წყარო.

განვლილი 60 წელი აღინიშნა საბჭოთა კავშირის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით. ეროვნული შემოსავალი ამ პერიოდში მრავალგზის გაიზარდა. სსრ კავშირის წილი მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში 1922 წლის ერთი პროცენტიდან ახლა ოც პროცენტამდე გაიზარდა.

ხალხთა ერთსულოვან ოჯახში დინამიკურად ვითარდება ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკა. თანამედროვე მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, კულტურის ნამდვილი აყვავება — აი რა ახასიათებს დღეს თითოეულ მათგანს. ამავე დროს მათ აქვთ განუმეორებელი სახე, თავისებური ეროვნული ნიშნები.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სსრ კავშირად გაერთიანებული ხალხების რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობის შედეგი გახდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება. ქვეყანაში დამყარდა მომწიფებული სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა, ძირითადად გადაწყდა საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების დონეთა გათანაბრების ამოცანა. უზრუნველყოფილია ყველა ერისა და ეროვნების იურიდიული და ფაქტობრივი თანასწორობა. შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. ამ ერთობას საფუძვლად უდევს საბჭოთა ადამიანების ისტორიული ბედის განუყოფლობა, როგორც მატერიალური, ისე სულიერი ხასიათის ღრმა ობიექტური ცვლილებები, მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის ურღვევი კავშირი. იგი არის სამეურნეო და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მზარდი ინტერნაციონალიზაციის, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ერების განვითარების შედეგი, ერებისა, რომელთა შორის დამყარდა ნამდვილი თანასწორუფლებიანობის, ძმური ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის, პატივისცემისა და ნდობის ურთიერთობა.

სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ახალ მიჯნებზე ჩვენი სამშობლოს გასვლა საშუალებას აძლევს პარტიასა და ხალხს განახორციელონ ისეთი სულ უფრო დიდი მასშტაბისა და სირთულის ამოცანები, როგორიც არის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურის დონის შემდგომი ამაღლება, სოციალურ-კლასობრივი და ეროვნული ურთიერთობის განვითარება, სოციალისტური სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის სრულყოფა, ახალი ადამიანის აღზრდა. ამ ამოცანების გადაწყვეტის ვრცელი პროგრამა წამოაყენა სკკპ XXVI ყრილობამ.

მომწიფებულ სოციალისტურ საზოგადოებაში წარმატებით ვითარდება ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი — სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის მატერიალური საფუძველი. საბჭოთა კავშირი მძლავრი ინდუსტრიული სახელმწიფოა, რომელსაც დიდად მექანიზებული სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა აქვს.

თითოეული რესპუბლიკის ეკონომიკას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში, სულ უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეროვნულ დოვლათში. ყველგან ჩამოყალიბდა და წარმატებით შრომობენ მრავალეროვანი საწარმოო, სამეცნიერო და შემოქმედებითი კოლექტივები. ეს დღევანდელობის ღირსშესანიშნავი სოციალური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენაა.

ყველა საბჭოთა რესპუბლიკის შემდგომ აღმავლობას მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობს ისეთი უდიდესი საერთო-საკავშირო სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტა, როგორიც არის ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის რაიონების, ბამის ზონის სათბობ-ენერგეტიკული და ნედლეულის სიმდიდრეების ათვისება, არაშავმიწანიადაგიანი ზონის განვითარება. ამისათვის საჭიროა ყველა რესპუბლიკის მშრომელთა ერთობლივი მეცადინეობა, მათი მატერიალური და შრომითი რესურსების აქტიური გამოყენება.

პარტიის კურსი, როგორც XXVI ყრილობამ აღნიშნა, ითვალისწინებს თითოეული რესპუბლიკის მატერიალური და სულიერი პოტენციალის ზრდას და ამასთან მის მაქსიმალურ გამოყენებას მთელი ქვეყნის ჰარმონიული განვითარებისათვის. პარტია ეს მიაჩნია საბჭოთა საზოგადოების პროგრესის, სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების აუცილებელ პირობად. ცენტრალიზებულ დაგეგმვა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების ფართო ინიციატივასთან შეხამებით საშუალებას გვაძლევს უზრუნველვყოთ საბჭოთა ეკონომიკის შეწონასწორებული და ეფექტიანი განვითარება. ვწყვეტდეთ ყველა ეკონომიკურ და სოციალურ ამოცანას უწინარეს ყოვლისა საერთო-სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან, ვებრძოდეთ კუთხურობისა და უწყებრიობის ყოველგვარ გამოვლინებას — ასეთია საქმისადმი ნამდვილი პარტიული, ინტერნაციონალისტური მიდგომის უცილობელი მოთხოვნა.

თანამედროვე პირობებში გრძელდება საბჭოთა საზოგადოების ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის დახლოება, რაც უმთავრესად და ძირითადად იწვევს საზოგადოების უკლასო სტრუქტურის შექმნას მომწიფებული სოციალიზმის ისტორიულ ფარგლებში. ამ პროცესის გადამწყვეტი ძალა, მისი „სოციალური გონება და სოციალური გული" (კ. მარქსი) მუშათა კლასია. თავისი ეკონომიკური მდგომარეობით, იდეოლოგიით, ფსიქოლოგიითა და მორალით იგი იყო და კვლავ არის მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობისა და ძმობის ყველაზე თანამიმდევრული გამომხატველი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მუდამ იზრდებოდეს ჩვენი მრავალეროვანი მუშათა კლასის იდეური სიმწიფე, სოციალური აქტიურობა, ზოგადი კულტურა და პროფესიული ოსტატობა, მისი როლი თანამედროვე პოლიტიკის საკვანძო პრობლემების გადაწყვეტაში.

70-იან წლებში გაიზარდა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ყველა ეროვნული რაზმი, განსაკუთრებით იმ რესპუბლიკებში, სადაც მისი ხვედრითი წონა მოსახლეობის სტრუქტურაში საერთო-საკავშიროზე ნაკლები იყო. პარტია კვლავაც მუდმივ ყურადღებას დაუთმობს მკვიდრი ეროვნების კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებას. ყოველივე ეს ხელს უწყობს იმას, რომ გაფართოვდეს მუშათა კლასის გავლენა საზოგადოების განვითარებაზე, განმტკიცდეს ყველა კლასისა და ჯგუფის, ერისა და ეროვნების ერთიანობის სოციალურ საფუძვლები.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებასთან ორგანულად არის დაკავშირებული საბჭოთა რესპუბლიკების კოლმეურნე გლეხობის სოციალურ სახეში, კულტურაში, ცხოვრების პირობებში მომხდარი უდიდესი ცვლილებანი. სასურსათო პრობლემის გადაჭრა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ყოველმხრივი აღმავლობა ახლა უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანებია. ამ ამოცანების შესრულება მოითხოვს სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებას, აგროსამრეწველო ინტეგრაციის განვითარებას, კადრების მომზადების გაუმჯობესებასა და დამკვიდრებას, სოფლად შრომისა და ყოფა-ცხოვრების სრულყოფას.

სსრ კავშირს მოწინავე პოზიციები უკავია მსოფლიო მეცნიერებაში, ტექნიკასა და კულტურაში, და ეს არის საბჭოთა მრავალეროვანი ინტელიგენციის უდიდესი დამსახურება. ინჟინერ-ტექნიკური, მეცნიერული, შემოქმედებითი ინტელიგენციის, მასწავლებლებისა და ექიმების დიდი რაზმები შეიქმნა და კვლავ იზრდება თითოეულ რესპუბლიკაში. მთავარია კვლავაც სრულვყოთ სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვის სისტემა და ხარისხი, უფრო ზუსტად გავითვალისწინოთ მათი განაწილების დროს რესპუბლიკისა და მთლიანად სსრ კავშირის რეალური მოთხოვნილებანი, უფრო სრულად გამოვიყენოთ მათი შემოქმედებითი პოტენციალი კომუნისტური მშენებლობის ინტერესებისათვის.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის საერთო-სახალხო ხასიათი. მისი მიზანია გადაწყვიტოს ყველა ერისა და ეროვნებისათვის ისეთი საარსებო საკითხები, როგორიც არის მშრომელთა კეთილდღეობის, განათლებისა და კულტურის დონის ამაღლება, მათი შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესება, საბინაო მშენებლობის განვითარება, სოციალური უზრუნველყოფის, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის სრულყოფა, გარემოს დაცვა. სამოცდაათიან წლებში განხორციელდა ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე უფართოესი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების პროგრამა. ამისათვის გამოყოფილია თითქმის ორჯერ მეტი სახსრები, ვიდრე წინა ათწლეულში. ამის შედეგად რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე თითქმის ერთნახევარჯერ გაიზარდა. ის, რასაც მიაღწია სოციალიზმმა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ადამიანთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში, მთელი ეპოქაა.

ამავე დროს პარტია ხედავს ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს, არსებულ სიძნელეებსა და ნაკლოვანებებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია რაზმავს კომუნისტებს, ყველა მშრომელს მათს დასაძლევად. საბრძოლო პარტიულ განაწესად აღიქვეს საბჭოთა ადამიანებმა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმზე: „უკეთ უნდა ვიმუშაოთ, უკეთ უნდა შევადგინოთ გეგმები და უკეთ შევასრულოთ ისინი. უკეთ უნდა მოვაწყოთ წარმოება და უკეთ ვაწარმოოთ. ერთი სიტყვით, უნდა ვიმუშაოთ უფრო ეფექტიანად".

პარტია ისწრაფვის, რომ მატერიალურ და სულიერ სიკეთეთა მოხმარების საერთო ზრდის პირობებში განუხრელად ვძლევდეთ წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებულ განსხვავებას სოციალურ ჯგუფებსა და რეგიონებს, ქალაქსა და სოფელს შორის, რათა თანამიმდევრულად ვიცავდეთ განაწილების სამართლიან სოციალისტურ პრინციპებს, არ დავუშვათ მათი დამახინჯება.

კოლექტივიზმისა და ამხანაგობის ატმოსფერო, ყველა ერისა და ეროვნების შეკავშირება, მეგობრობა, საზოგადოების ზნეობრივი სიჯანსაღე, ნამდვილი დემოკრატიზმი და სოციალური ოპტიმიზმი, სოციალისტური მორალისაგან გადახვევებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულება საბჭოური ცხოვრების წესის უმნიშვნელოვანესი მხარეებია. ეროვნებათა ურთიერთობაში მაღალი ჰუმანიზმი, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით რელიეფურად ვლინდება კაპიტალისტურ ქვეყნებში ეროვნულ წინააღმდეგობათა გამწვავების, იქ ნაციონალიზმის, შოვინიზმისა და რასიზმის თარეშის ფონზე.

მთელმა მსოფლიომ იცის ეროვნულ უმცირესობათა, უცხოელ მუშათა სასტიკი ექსპლოატაციისა და დისკრიმინაციის ამბავი კაპიტალის ქვეყნებში, რომელთა მმართველი წრეები თვალთმაქცურად ქადაგებენ „ადამიანის უფლებებს". მკაცრ რეპრესიებს და დევნას განიცდიან მოქალაქეობრივი, ეროვნული უფლებებისათვის მებრძოლნი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩრდილოეთ ირლანდიაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებში. ყოველი უწინასწარმეტყველო ადამიანი ხედავს: კაპიტალიზმს არ ძალუძს გადაწყვიტოს მის მიერვე წარმოშობილი ეროვნული საკითხი.

სსრ კავშირის შექმნამ, ხალხთა შორის მეგობრობის, ნდობის, ერთმანეთისადმი დახმარების ურთიერთობის დამყარებამ გიგანტურად დააჩქარა დიდი ოქტომბრით შობილი საზოგადოების სულიერი განვითარება. სოციალიზმმა შეძლო გადაეწყვიტა ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა: კულტურის მიღწევებთან შეუერთდნენ მშრომელი ადამიანების მრავალმილიონიანი მასები, თითოეული ადამიანისათვის, მისი სოციალური მდგომარეობისა და ეროვნების მიუხედავად, ხელმისაწვდომი გახდა კულტურის ყველა წყარო. ქვეყანაში ფართო შესაძლებლობებია შექმნილი ყველა ერისა და ეროვნების ნიჭისა და უნარის გამოვლინებისათვის, კულტურის აყვავებისათვის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში მასების შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

მომწიფებული სოციალიზმის მადლიან ნიადაგზე იზრდება და მტკიცდება საბჭოთა ხალხის ერთიანი ინტერნაციონალური კულტურა, რომელიც ემსახურება ყველა მშრომელს, გამოხატავს მათს საერთო იდეალებს. იგი ითვისებს ეროვნული კულტურების მიღწევებიდან და თავისთავადი ტრადიციებიდან ყოველივეს, რასაც საერთო მნიშვნელობა აქვს. შინაარსით სოციალისტური, ეროვნული ფორმებით მრავალფეროვანი, სულისკვეთებითა და ხასიათით ინტერნაციონალისტური საბჭოთა კულტურა საბჭოთა კავშირის ერთა და ეროვნებათა იდეურ-ზნეობრივი შეკავშირების დიადი ძალა გახდა.

საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურა გამოდის სსრ კავშირის ხალხთა ათობით ენაზე, რომელთაგან ბევრს ოქტომბრამდე დამწერლობა არ ჰქონია. რუსული ენა, რომელიც საბჭოთა ადამიანებმა ნებაყოფლობით მიიღეს ერთა შორის ურთიერთობის ენად, საბჭოთა ხალხის სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობის განმტკიცების, ეროვნულ კულტურათა განვითარებისა და ურთიერთგამდიდრების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. მან ყველა ჩვენი ხალხისათვის ხელმისაწვდომი გახადა მსოფლიო ცივილიზაციის სულიერი სიმდიდრენი. თითოეულ საბჭოთა მოქალაქეს, როგორც ლენინმა თქვა, აქვს შესაძლებლობა ისწავლოს დიადი რუსული ენა. ამჟამად ქვეყნის მოსახლეობის 82 პროცენტი თავისუფლად ფლობს მას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც ზრუნავს საბჭოთა კულტურის განვითარებისათვის, მოძმე რესპუბლიკების მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის ფართო გამოყენებისათვის, მრავალეროვანი შემოქმედებითი გვნიის მხნედ უსახავს შექმნან პარტიულობისა და ხალხურობის სულისკვეთებით განმსჭვალული ჩვენი სამშობლოს აწმყოსა და მომავლის შესაფერისი ნაწარმოებები.

განვითარებული სოციალიზმი თვალნათლივ ადასტურებს, რომ განუყრელად არის დაკავშირებული ერთმანეთთან ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების აყვავება-დახლოება და სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავება. საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში ისტორიული მიჯნა გახდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება, რომლის ნამდვილი შემოქმედი, როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, მთელი საბჭოთა ხალხი გახდა. კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვამ და ერთსულოვანმა მოწონებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ სსრ კავშირის ხალხები ისწრაფვიან გაუფრთხილდნენ და განამტკიცონ თავიანთი სახელმწიფოებრივი კავშირი.

გამოხატავს რა ერების განუხრელ დაახლოებას, სსრ კავშირის კონსტიტუცია ხელს უწყობს მრავალეროვანი სახელმწიფოს საკავშირო საწყისების შემდგომ განმტკიცებას, ორგანულად უხამებს ერთმანეთს სოციალისტურ ფედერალიზმსა და დემოკრატიულ ცენტრალიზმს. პარტიას მიაჩნია, რომ ეს საიმედოდ გადაულობავს გზას როგორც კუთხურობისა და ეროვნული შეზღუდულობის გამოვლინებებს, ისე, ერებისა და ეროვნებების სპეციფიკური ინტერესებისადმი აგდებულ დამოკიდებულებასაც.

სსრ კავშირის კონსტიტუციაში, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებში კონცენტრირებულად აისახა საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და სულიერ ცხოვრებაში მომხდარი ყველაზე არსებითი ცვლილებანი, ჩვენი სახელმწიფოს ღრმა დემოკრატიზმი. მათში განმტკიცებულია ყველა ერისა და ეროვნებისათვის საერთო სოციალისტური ცხოვრების ყაიდის ძირეული საფუძვლები, გაძლიერებულია რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა გარანტიები, ამაღლებულია მათი როლი საერთო-სახალხო ამოცანების გადაწყვეტაში.

სსრ კავშირის გამოცდილებით დამტკიცებულია: რაც უფრო ფართოდ ვითარდება სოციალისტური დემოკრატია, რაც უფრო დემოკრატიულია ქვეყნის ცხოვრება, მით უფრო დიდია ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა ნებაყოფლობითი ურთიერთმიზიდულობის ძალა. ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ ფორმალურად აცხადებს ერების თანასწორუფლებიანობას, სოციალისტური დემოკრატია საიმედოდ იცავს მშრომელთა სოციალურ და ეროვნულ ინტერესებსა და უფლებებს. იგი თითოეულ ადამიანს უქმნის რეალურ შესაძლებლობებს სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში სულ უფრო ფართო და უშუალო მონაწილეობისათვის. ეს საბჭოთა პოლიტიკური სისტემის შემდგომი განვითარების მთავარი მიმართულებაა.

დემოკრატია სოციალიზმის დროს წარმოუდგენელია ძლიერი, ავტორიტეტიანი, ხალხის სრული ნდობით აღჭურვილი სახელმწიფო ხელისუფლების გარეშე. საბჭოთა სახელმწიფო — ეს არის ხელისუფლება, რომელიც თვით მშრომელებმა დაამყარეს და ახორციელებენ, და რომელიც გამოხატავს და იცავს მათს ძირეულ ინტერესებს. სახელმწიფო, პარტიული ორგანიზაციების სისტემის, პროფკავშირებისა და კომკავშირის, სახალხო კონტროლის ორგანოების მეშვეობით, შრომითი კოლექტივების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, საყოველთაო-სახალხო განხილვისა და საარჩევნო კამპანიების მეშვეობით გათვალისწინებულია და საქმით ხორციელდება საბჭოთა საზოგადოების ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის, ერისა და ეროვნების მოთხოვნები და მოთხოვნილებანი.

ყველა ერისა და ეროვნების პოლიტიკური ცხოვრების ერთიანობის, მათი მჭიდრო ერთობის მკაფიო გამოხატულება გახდა ყველაზე მასობრივი, სრულუფლებიანი სახელმწიფო ორგანოები — სახალხო დეპუტატთა საბჭოები. 2,3 მილიონი ხალხის რჩეული, კომუნისტები და უპარტიოები, 100-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები წყვეტენ ამ ორგანოებში საერთო-სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის დიდმნიშვნელოვან საკითხებს, გადიან სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ნამდვილ სკოლას.

ცხოვრება გვარწმუნებს: სსრ კავშირი — ეს არის საბჭოთა კავშირის ერებისა და ეროვნებების სახელმწიფო გაერთიანების დინამიკური და ეფექტიანი ფორმა, რომელიც გათვალისწინებულია კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობად სოციალისტური სახელმწიფოებრიობის თანდათანობითი გადაზრდის მთელი ისტორიული პერიოდისათვის.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში განუხრელად იზრდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის ხელმძღვანელი, წარმმართველი და მაორგანიზებელი საქმიანობის როლი სსრ კავშირის ერებისა და ეროვნებების განვითარებაში, მათი ძმური კავშირის განმტკიცებაში. ეროვნული ურთიერთობის სფეროს სწორი, მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებზე დაფუძნებული პარტიული ხელმძღვანელობა მრავალეროვანი სოციალისტური საზოგადოების პროგრესის უცილობელი პირობაა. პარტია, სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ნიადაგ ზრუნავენ სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და ერთიანობის ყოველმხრივი განმტკიცებისათვის, შემოქმედებითად ავითარებენ ლენინურ მოძღვრებას ეროვნულ საკითხზე.

კომუნისტები იყვნენ და არიან, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, ჭეშმარიტად დემოკრატიულ, ჭეშმარიტად ინტერნაციონალისტურ ბაზაზე ერების თანდათანობითი, სულ უფრო სრული დაახლოების მომხრენი. უკლასო საზოგადოების ჩამოყალიბება დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდება ამ კანონზომიერი პროცესის შემდგომი განვითარების გზაზე, რომელიც მარქსისტულ-ლენინურმა მეცნიერებამ წარმოაჩინა. კომუნისტური იდეოლოგიისათვის არაფერია იმაზე უფრო უცხო, ვიდრე მისწრაფება ხელოვნურად აჩქარებდე ან აბრკოლებდე კონკრეტულ ობიექტურ პროცესს. ამოცანა ის არის, რომ ფართო გასაქანი მისცე მის ბუნებრივ განვითარებას ხალხთა ნებაყოფლობის, თანასწორობისა და ძმური თანამშრომლობის საფუძველზე.

ყოველი ერისა და ეროვნების ინტერესებისა და მოთხოვნილებების გულდასმით გათვალისწინება, მათი შეხამება მთლიანად საბჭოთა ხალხის ინტერესებთან, მშრომელთა ძალისხმევის გაერთიანება საზოგადოების განვითარების აქტუალური ამოცანების გადასაწყვეტად — ყოველივე ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყურადღების ცენტრშია.

პარტია ფხიზლად ადევნებს თვალს იმას, რომ ეროვნული ურთიერთობის სფეროს ახალი პროცესები და პრობლემები, რომლებსაც ნიადაგ წარმოშობს ჩვენისთანა დიდი მრავალეროვანი სახელმწიფოს განვითარება, დროულად და სრულად აისახებოდეს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ორგანოების საქმიანობაში. ამ ამოცანის განხორციელების უტყუარი საშუალებაა ხელმძღვანელობის მეცნიერული პრინციპების, მუშაობის ლენინური სტილის, ლენინური კადრების პოლიტიკის განუხრელი განხორციელება.

(დასასრული მე-2 გვ.)

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ

(დასასრული).

საბჭოთა რესპუბლიკებში მრავალეროვანი შემადგენლობის მოსახლეობაა. საჭიროა, ყველა ერს ჰქონდეს ჯეროვანი წარმომადგენლობა პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში ადამიანის საქმიანი და იდეურ-ზნეობრივი თვისებების მკაცრი გათვალისწინების პირობებში. რამდენადაც მთელ რიგ რესპუბლიკებში უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა არამკვიდრ ეროვნებათა მოქალაქეების რიცხვი, რომლებსაც თავიანთი სპეციფიკური მოთხოვნები აქვთ ენის, კულტურისა და ყოფის სფეროში, პარტიული კომიტეტები მოწოდებული არიან უფრო ღრმად სწვდებოდნენ ამ პრობლემებს, დროულად სახავდნენ მათი გადაწყვეტის გზებს.

„ჩვენს ქვეყანაში, — აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში XXVI ყრილობისადმი, — პატივს ვცემთ ეროვნულ გრძნობას, თითოეული საბჭოთა ადამიანის ეროვნულ ღირსებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ებრძოდა და კვლავაც შეურიგებლად შეებრძოლება სოციალიზმის ბუნებისათვის ისეთ უცხო გამოვლინებებს, როგორიცაა შოვინიზმი თუ ნაციონალიზმი, ყოველგვარ ნაციონალისტურ გადახრებს, იქნება ეს, ვთქვათ, ანტისემიტიზმი თუ სიონიზმი". მთელი თავისი საქმიანობით, მიზანმიმართული იდეოლოგიური მუშაობით პარტია მშრომელებს ზრდის საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, იმ ამაყი გრძნობის სულისკვეთებით, რომ ეკუთვნიან ერთიან დიად საბჭოთა სამშობლოს.

იყო ინტერნაციონალისტი, ხაზგასმით აღნიშნავდა ლენინი, ნიშნავს „ფიქრობდე არა მარტო შენი ერისათვის, არამედ **მასზე მაღლა** აყენებდე ყველას ინტერესებს". იგი გვასწავლიდა გვებრძოლა წვრილეროვნული სივიწროვის, კარჩაკეტილობის, განცალკევების წინააღმდეგ. ლენინის ანდერძის ერთგული პარტია მშრომელებს გამოუმუშავებს უნარს კლასობრივი პოზიციებიდან მიუდგნენ ნებისმიერ ეროვნულ პრობლემას. იგი ილვწის იმისათვის, რომ თითოეულ საბჭოთა ადამიანს ნათლად ესმოდეს: ინტერნაციონალური ვალის მოხდა დღეს სინამდვილეში ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, კეთილსინდისიერ, ინიციატივიან, შემოქმედებითს შრომას საყოველთაო კეთილდღეობისათვის, ნიშნავს მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ყოველმხრივ ამაღლებას, აქტიურ მონაწილეობას საერთო-სახალხო ამოცანების გადაწყვეტაში, სსრ კავშირის, მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

სსრ კავშირის შექმნასა და წარმატებულ განვითარებას წარუვალი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, იგი მოასწავებს დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მიჯნას ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობისათვის, მსოფლიოს რევოლუციური განახლებისათვის მოწინავე კაცობრიობის საუკუნო ბრძოლაში.

ცხოვრებამ დაადასტურა ლენინისეული წინასწარმეტყველება, რომ ახალი საზოგადოებრივი წყობილება წარმოშობს სულ სხვაგვარ საერთაშორისო ურთიერთობას, რომლისთვისაც უცხოა კაპიტალისტური სამყაროსათვის დამახასიათებელი დისკრიმინაცია, ბატონობა და მორჩილება. ასეთი ურთიერთობის მაგალითს გვაძლევენ მოძმე სოციალისტური ქვეყნები.

სოციალიზმის ბუნებისათვის დამახასიათებელ სახელმწიფოთა ურთიერთობას ყველაზე სრულად განასახიერებს სოციალისტური თანამეგობრობა. იგი გამოხატულებაა იმ სუვერენულ თანასწორუფლებიან სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობის ახალი, სოციალისტური ტიპისა, რომლებსაც აკავშირებთ ძირეული ინტერესებისა და მიზნების, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ერთიანობა, ამხანაგური სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების, ყოველმხრივი თანამშრომლობის მტკიცე კავშირი.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სულსა და გულს, ხელმძღვანელსა და წარმმართველ ძალას წარმოადგენენ მათი კომუნისტური და მუშათა პარტიები. გამოცდილება გვარწმუნებს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულება, ყველა დარგში მოძმე პარტიების მჭიდრო თანამოქმედება საშუალებას გვაძლევს სწორად შევუხამოთ ერთმანეთს სოციალისტური სახელმწიფოების საერთო და ეროვნული ინტერესები, წარმატებით გადავწყვიტოთ განვითარების პროცესში წამოჭრილი წინააღმდეგობანი და სიძნელენი, მტკიცედ განაგრძონ წინსვლა თითოეულმა ქვეყანამ ცალ-ცალკე და მთელმა სოციალისტურმა თანამეგობრობამ ერთად. ამას საიმედოდ ემსახურებიან ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია.

სოციალისტურმა ქვეყნებმა უდავო წარმატებანი მოიპოვეს ახალი საზოგადოების მშენებლობაში. ამავე დროს მსოფლიო სოციალიზმის ინტერნაციონალურმა გამოცდილებამ დაადასტურა იმ ლენინური აზრის სისწორე, რომ სოციალიზმის გზა რთული იქნება. არ შეიძლება ანგარიში არ ვუწევდეთ იმას, რომ ახალი წყობილების განვითარება მიმდინარეობს იმპერიალიზმის მუდმივი ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და იდეოლოგიური ზემოქმედების ვითარებაში. იქ, სადაც იმპერიალიზმის ძირგამომთხრელ საქმიანობას ემატება საშინაო პოლიტიკის შეცდომები და ხარვეზები, წარმოიშობა უცხო, ანტისოციალისტური ძალების გააქტიურების ნიადაგი. პრაქტიკა გვიჩვენებს, თუ რაოდენ აუცილებელია მმართველი კომუნისტური პარტია ზრუნავდეს მასებთან კავშირის განმტკიცებისათვის. ახორციელებდეს აწონ-დაწონილ, რეალისტურ პოლიტიკას, ზრდიდეს მშრომელებს ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით, დროულად სცემდეს საკადრის პასუხს სოციალიზმის მოწინააღმდეგეებს, განამტკიცებდეს მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოებთან სოლიდარობას.

მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობა განუხრელად ვითარდება, გრძელდება მოძმე ქვეყნების დაახლოების პროცესი. იგი მიმდინარეობს ხალხთა ეროვნული, ისტორიული თავისებურებების გათვალისწინებით, რისი გამოხატულებაც არის ამ ქვეყნების საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმების მრავალფეროვნება. სულ უფრო მჭიდრო ხდება მათი თანამოქმედება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში. იხვეწება ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა ეკონომიკის, იდეოლოგიის, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში. გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამების ბაზაზე ღრმავდება ეკონომიკური ინტეგრაცია. თვით ცხოვრებამ დაუსახა მოძმე ქვეყნებს ამოცანად შეავსონ გეგმების კოორდინაცია მთლიანად ეკონომიკური პოლიტიკის შეთანხმებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად ილვწის, რათა განამტკიცოს სოციალისტური თანამეგობრობა სოლიდარობა საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა რაზმთან. პარტიის XXVI ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შემდგომი შეკავშირებისა და ავტორიტეტის ზრდის მძლავრი ფაქტორია კომუნისტების თანამიმდევრული ბრძოლა მშვიდობისათვის, იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, რომელიც ბირთვული კატასტროფის საფრთხეს უქმნის ადამიანებს. მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტები დაუღალავად იბრძვიან თავიანთი ქვეყნების მუშათა კლასის, მშრომელთა ინტერესებისათვის, დემოკრატიის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის.

ვითარდება სსრ კავშირის თანამშრომლობა აზიაafრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის დამკვიდრებისათვის მებრძოლ სოციალისტურ სახელმწიფოებთან. საბჭოთა კავშირი მტკიცედ ილვწის კოლონიალიზმის ნაშთების ლიკვიდაციისათვის, ნეოკოლონიალიზმისა და რასიზმის, ეკონომიკური და პოლიტიკური დიქტატის და უთანასწორობის წინააღმდეგ. იგი თანამიმდევრულად უჭერს მხარს მიუმხრობლობის მოძრაობის ანტიიმპერიალისტურ ტრადიციებს, პრაქტიკულად უწყობს ხელს განვითარებადი სახელმწიფოების ბრძოლას დემოკრატიულ საფუძველზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნისათვის. ახალგაზრდა სახელმწიფოები, უწინარეს ყოვლისა ისინი, რომლებმაც სოციალისტური ორიენტაცია აირჩიეს, ცხოველი ინტერესით ეკიდებიან ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის საბჭოურ გამოცდილებას, სსრ კავშირის მთელ რიგ ხალხთა გამოცდილებას, რომლებიც განვითარების კაპიტალისტური სტადიის გაუვლელად გადავიდნენ სოციალიზმზე.

დიდი ოქტომბრით გაკვალულ გზას ადგას დღეს სსრ კავშირის ხალხებთან ერთად ევროპის, აზიაafრიკისა და ლათინური ამერიკის სხვადასხვა ქვეყნის ასმილიონობით ადამიანი. არ არის და ვერც იქნება სოციალიზმის გზა იმ ზოგად კანონზომიერებათა გვერდის ავლით, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმმა აღმოაჩინა და დაადასტურა სსრ კავშირის, რეალური სოციალიზმის ქვეყნების გამოცდილებამ, რევოლუციური ბრძოლისა და სოციალისტური ალმშენებლობის ინტერნაციონალურმა პრაქტიკამ, ისევე როგორც ვერ იქნება ამ გზით წარმატებული წინსვლა თითოეული ქვეყნის ეროვნულ თავისებურებათა ყოველმხრივ გაუთვალისწინებლად.

იმპერიალიზმის, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის იმპერიალიზმის პოლიტიკით გამოწვეული საერთაშორისო ვითარების გამწვავების პირობებში კაცობრიობის ბედისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის ლენინური სტრატეგიის, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს სტრატეგიის აქტიურ განხორციელებას. 80-იანი წლების მშვიდობის პროგრამა, რომელიც სკკპ XXVI ყრილობამ წამოაყენა და ახალი ინიციატივებით გაამდიდრა ლ. ი. ბრეჟნევმა, გვისახავს ომის საფრთხის დაცხრობის, დაძაბულობის შენელების გაღრმავების, სხვადასხვა წყობილების სახელმწიფოთა ფართო თანამშრომლობის განვითარების რეალისტურ, კონსტრუქციულ გზებს. იგი შესაძლებლობას გვაძლევს გადავჭრათ რთული საერთაშორისო პრობლემები არა კონფრონტაციის გზით, არამედ პატიოსანი, თანასწორუფლებიანი მოლაპარაკების საწყისებით.

საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკა ქმედითი საპირწონეა იმპერიალიზმის აგრესიული წრეების მისწრაფებისა თავს მოახვიონ მსოფლიოს გამალებული შეიარაღების ახალი ტური, ნიადაგ ამძაფრონ საერთაშორისო ვითარება, ძირი უთხარონ ურთიერთხელსაყრელ საერთაშორისო ურთიერთობას. იგი ღრმად ჰუმანისტურია, ატარებს ღია, დემოკრატიულ ხასიათს, შეესაბამება სსრ კავშირის, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხთა, მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის ინტერესებს. სწორედ ამიტომ არის, რომ მას მხარს უჭერენ საერთაშორისო საზოგადოებრიობის უფართოესი წრეები, ყველა კეთილი ნების ადამიანი.

სსრ კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა — ეს ამასთანავე არის პოლიტიკა იმპერიალიზმის იმ აგრესიულ ზრახვათა მტკიცე უკუგდებისა, რომლებსაც უკავშირდება პეკინის ახლანდელი ხელმძღვანელობის ანტისაბჭოური პოლიტიკა, ეს არის სსრ კავშირისა და მისი მოკავშირეების უშიშროების ყოველგვარი ხელყოფისათვის საკადრისი პასუხის გაცემის პოლიტიკა. სოციალისტურ თანამეგობრობას ყველაფერი მოეპოვება საიმისოდ, რომ დაიცვას თავისი ისტორიული რევოლუციური მონაპოვარნი.

საბჭოთა კავშირი არავის არ ახვევს თავს სახელმწიფო წყობის არავითარ ისეთ შაბლონებსა და „მოდელებს", რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის თავისებურებებს უგულებელყოფდნენ. იგი სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს ისტორიის მიმდინარეობაზე თვით თავისი არსებობის ფაქტით, ახალი ტიპის სოციალური, ერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკით, მაგალითის ძალით იმ ურთულესი პრობლემების გადაჭრაში, რომლებსაც თავს ვერართმევს კაპიტალიზმი. სსრ კავშირი — მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო — თავის ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმართავს მაღალი პრინციპით, თანასწორობის ადამიანური პრინციპით, და არა დიდი ხალხის დამამცირებელი პრივილეგიების პრინციპით.

ეგებება რა სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს, საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი მიღწევებით, იმ რევოლუციური ისტორიული მისიით, რომელსაც პირნათლად ასრულებს ჩვენი სამშობლო, ხალხთა მშვიდობის, დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში რომ დგას. სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი ფრთას ასხამს საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელებს ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის კომუნიზმის გასამარჯვებლად.

ყველა რესპუბლიკის შემდგომი განვითარების, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს მეთერთმეტე ხუთწლედი. ამასთანავე იგი მოასწავებს დიდმნიშვნელოვან ეტაპს ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებაში.

პარტიის კურსი — საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი ეფექტიანობის ყოველმხრივი ამაღლების კურსი მოითხოვს მაღალ ორგანიზებულობას, საქმიან მიდგომასა და დისციპლინას, მართვის სისტემის მწყობრსა და შეთანხმებულ ფუნქციონირებას, მასების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას.

ამოცანები, რომლებიც პარტიამ დასახა მეთერთმეტე ხუთწლედისა და 80-იანი წლების მთელი პერიოდისათვის, საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება. და იგი მტკიცედ იბრძვის მათი გადაწყვეტისათვის. სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ფართოდ გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველა რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის მშრომელები გვიჩვენებენ დამკვრელური მუშაობის შესანიშნავ მაგალითს, ყოველ ღონეს ხმარობენ 1982 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

საკუთარი ძალების რწმენით, ოპტიმიზმით აღსავსე მიაბიჯებს საბჭოთა ხალხი ლენინის პარტიის მიერ დასახული გზით. ეჭვი არ არის, რომ სკკპ XXVI ყრილობის მიერ განსაზღვრული კომუნისტური აღმშენებლობის ამოცანები წარმატებით გადაწყდება. ამის საწინდარია სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი შეკავშირება, მათი აწყობილი ერთსულოვანი მუშაობა ამ დიადი მიზნის მისაღწევად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, შეიარაღებული ძალების პოლიტორგანოებმა ფართოდ გააჩაღონ ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად.

მოახმარონ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ორგანოების მთელი საქმიანობა მასების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის შემდგომ აღმავლობას, პარტიის XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, იმ ამოცანების წარმატებით განხორციელებას, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე.

მოწონებულ იქნეს მოსკოვის, ლენინგრადის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის იმ მოწინავე კოლექტივების ინიციატივა, რომლებმაც გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1982 წლის გეგმის, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

განუხრელად აამაღლონ შეჯიბრების მთელი ორგანიზაციის დონე, განავითარონ იგი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის მიმდინარე მუშაობასთან მჭიდრო კავშირით. მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მასალა-ნედლეულის, ელექტროენერგიის, სათბობის, ფინანსური და შრომითი რესურსების უმცირესი დანახარჯებით მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევის საკითხებს.

ამრავლონ შეჯიბრების სახელოვანი ტრადიციები, შექმნან თითოეულ შრომით კოლექტივში ახალი რეზერვების შემოქმედებითი ძიების, ამხანაგური ურთიერთდახმარების ვითარება, უზრუნველყონ მაღალი პასუხისმგებლობა პროდუქციის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულებისათვის, ნაკლოვანებების, შრომის დისციპლინის დარღვევების შეუწყნარებლობის ატმოსფერო. შეჯიბრება უნდა გახდეს ქმედითი საშუალება პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად მშრომელთა დარაზმვისათვის.

სსრ კავშირის იუბილეს სამზადისმა ხელი უნდა შეუწყოს მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის, მათი იდეური წრთობის შემდგომ გაუმჯობესებას. ამ მიზნით საჭიროა:

დამაჯერებლად წარმოაჩინოთ მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების დიადი რევოლუციურ-გარდამქმნელი ძალა, ის მდიდარი შემოქმედებითი წვლილი, რომელიც ჩვენს პარტიას, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს შეაქვთ მეცნიერული კომუნიზმის თეორიასა და პრაქტიკაში.

ფართოდ გავაშუქოთ გმირი მუშათა კლასის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როლი ყველა მშრომელის ინტერნაციონალურ შეკავშირებაში, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში, ერებისა და ეროვნებების ყოველმხრივ პროგრესსა და დაახლოებაში, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში;

მკაფიოდ და დასაბუთებულად გავუწიოთ პროპაგანდა სოციალიზმის ისტორიულ უპირატესობებსა და მიღწევებს ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და ეროვნული პრობლემების გადაჭრაში, სკკპ XXVI ყრილობის კურსს, რომლის მიზანია სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომი დამკვიდრება. ყოველმხრივ წარმოაჩინონ პარტიისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შინაარსი, რომელიც ხელს უწყობს თითოეული რესპუბლიკის მატერიალური და სულიერი პოტენციალის ზრდას, მის მაქსიმალურ გამოყენებას სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ასამაღლებლად და ამის საფუძველზე — საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელ ამაღლებას;

ღრმად გააშუქონ ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხასიათი და თავისებურებანი. მუშების, გლეხების, ინტელიგენციის კავშირის შემდგომი განმტკიცების, ქვეყნის ერებისა და ეროვნებების დაახლოების, უკლასო საზოგადოების ჩამოყალიბების გზები;

ყოველმხრივ განმარტონ სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების მნიშვნელობა ეროვნული ურთიერთობის დარგში, საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში, თანამიმდევრული სოციალისტური დემოკრატიზმის დამკვიდრების საქმეში;

ფართოდ გააშუქონ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების მიღწევები, დამაჯერებლად ცხადყონ, რომ მხოლოდ სოციალისტური წყობილება, მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა უზრუნველყოფ[...] მათს თავისუფალ, ყოველმხრივ და დინამიკურ გა[...]ნვითარებას;

დამაჯერებლად წარმოაჩინონ საბჭოთა კავშირ[...] კომუნისტური პარტიის ლენინური საგარეო პოლ[...]ტიკის მშვიდობისმოყვარე, ინტერნაციონალისტ[...] ხასიათი, საბჭოთა ხალხისა და მოძმე სოციალისტ[...]რი ქვეყნების მშრომელების, საერთაშორისო მუშ[...]თა კლასის, განვითარებადი ქვეყნების ხალხთა რ[...]რული ინტერესების ერთიანობა იმპერიალიზმ[...] წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნ[...] დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის[...]თვის ბრძოლაში. გადაჭრით ამხილონ სუვერენ[...] სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში იმპერიალიზმ[...] ჩარევის ფაქტები, ცდები — ელაპარაკოს ამ სახე[...] მწიფოებს მუქარის ენით, თავს მოახვიოს თავის[...]ნება პოლიტიკური გავლენის, ეკონომიკური და[...] მხედრო შანტაჟის მეშვეობით;

იმის გამო, რომ ნაციონალიზმი რეალური სოცია[...]ლიზმის წინააღმდეგ იმპერიალიზმის ძირგამომთხ[...]რელი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი საშუალ[...]ბაა, საჭიროა ვაწარმოოთ თანამიმდევრული, შე[...]ტევი ბრძოლა ცალკეულ ადამიანთა შორის ნაციო[...]ნალისტური ცრურწმენების გავლენის ცდები[...] წინააღმდეგ, გადაჭრით აღვკვეთოთ ყოველგვარ[...] გადახვევა ეროვნული პოლიტიკის ლენინური პრინ[...]ციპებისაგან. დასაბუთებულად ვამხილოთ ჩვენ[...] ქვეყნის ისტორიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტ[...]რი პარტიის ეროვნული პოლიტიკის ბურჟუაზიულ[...] ფალსიფიკატორები. თვალსაჩინოდ, კონკრეტ[...] ფაქტებით ცხადვყოთ, რომ კაპიტალის სამყარო[...] ვერ აღმოიფხვრება ეროვნული ჩაგვრა და უთანას[...]წორობა, გამოვააშკარავოთ ეროვნული და რასო[...]რივი ანტაგონიზმების გამოვლინებანი, იმ ურთი[...]რთობის მტაცებლური ხასიათი, რომელსაც იმპერია[...]ლიზმი ახვევს თავს განვითარებადი ქვეყნების ხა[...]ხებს;

გავაძლიეროთ ახალგაზრდობის პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდა; პროპაგანდა გაუ[...]წიოთ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის რ[...]ვოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებ[...] სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საგმირო ს[...]ქმეებს; ჩავუნერგოთ ყოველ საბჭოთა ადამიანს სო[...]ციალიზმის უძლეველობისა და სიმართლის რწმენ[...] პოლიტიკური სიფხიზლე, სამშობლოს, სოციალიზმ[...] მონაპოვართა დაცვისათვის მზადყოფნა.

კომუნისტთა ვალია განუხრელად განამტკიცო[...] საბჭოთა ხალხის ერთიანობა და შეკავშირება, გა[...] მოუმუშაონ მშრომელებს სოციალისტური მამული[...]სათვის სიამაყისა და სსრ კავშირის ხალხთა მე[...]რი მეგობრობის გრძნობა, ერების ურთიერთობ[...] მაღალი კულტურა, ნაციონალიზმის ყოველგვარ[...] გამოვლინების შეუწყნარებლობა.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენ[...]ტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლ[...]ქო, საოკრუგო, საქალაქო კომიტეტებმა, რაიკომებმ[...] საკავშირო პროფსაბჭომ, სრულიად საკავშირ[...] ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, თავდაცვის სამი[...]ნისტრომ, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვ[...] ფლოტის მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველო[...] სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სკკპ ცენ[...]ტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინი[...]ზმის ინსტიტუტმა და საზოგადოებრივ მეცნიერებ[...]თა აკადემიამ, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტე[...]ნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, ჟურნალ-გაზეთებ[...] რედაქციებმა, სსრ კავშირის სახტელერადიომ, სსრ კავშირის გამსახკომმა, საავტორო უფლებათა საკა[...]შირო სააგენტომ, პოლიტგამმა, გამომცემლობ[...] „პლაკატმა", სსრ კავშირის კულტურის სამინ[...]ტრომ, სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლე[...] სამინისტრომ, სსრ კავშირის განათლების სამინის[...]რომ, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განა[...]ლების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სპ[...]რტკომიტეტმა, დოსაafის ცენტრალურმა კომიტე[...]მა, საბჭოთა კავშირის საზოგადოება „ცოდნი[...] გამგეობამ, შემოქმედებითმა კავშირებმა ამ დადგ[...]ნილების საფუძველზე შეიმუშაონ და განახორცი[...]ლონ სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვ[...] მზადების ღონისძიებანი.

● ●

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ქვეყნის კომუნის[...]ტებს, კომკავშირელებს, ყველა ერისა და ეროვნებ[...] მშრომელებს მოუწოდებს შეხვდნენ საბჭოთა სო[...]ციალისტური რესპუბლიკების კავშირის მე-[...] წლისთავს ახალი მიღწევებით სკკპ XXVI ყრილობი[...] ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაშ[...] ეკონომიკის განვითარებაში, ქვეყნის თავდაცვი[...] უნარიანობის განმტკიცებაში, საბჭოთა ხალხის კე[...]თილდღეობისა და კულტურის ამაღლებაში. ცენ[...]რალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ საბ[...]ჭოთა ადამიანები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზ[...]მებიან კომუნისტთა ლენინური პარტიის გარშემო[...] გამოიჩენენ კიდევ უფრო მეტ ინიციატივასა და შე[...]მოქმედებას, თავდადებას და შეუპოვრობას, შეგნ[...]ბულ დისციპლინას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმი[...] ასაშენებლად და მთელ მსოფლიოში მშვიდობი[...] დასამკვიდრებლად ბრძოლაში.

60

რესურსებს — რაციონალური გამოყენება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობა

„**რადაც** უნდა დაგვიჯდეს, უნდა მივაღწიოთ მთელი რესურსების რაციონალურ გამოყენებას" — მოითხოვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმმა, რომელმაც დაგვისახა ამ საარსებო მნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტის კონკრეტული გზები. ჯერ ერთი, ხაზი გაუსვა პლენუმმა, უნდა გავამკაცროთ მომჭირნეობის რეჟიმი და, მეორე, რასაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, ბრუნვაში მოვაქციოთ მეორეული რესურსები.

ეს საკითხები იდგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და კომუნისტური მშენებლობის აქტუალური პრობლემების შემსწავლელი სემინარ-ლექტორიუმის 20 თებერვალს გამართული მორიგი სხდომის ყურადღების ცენტრში.

სემინარ-ლექტორიუმი შესავალი სიტყვით გახსნა მისმა ხელმძღვანელმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

მოხსენება „რესურსების გამოყენებისა და სამეურნეო ზრუნვაში მეორეული პროდუქტებისა და ნარჩენების მოქცევის მდგომარეობისა და მათი ეფექტიანი მოხმარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ" გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

ინფორმაციები მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის გაძლიერებისათვის ძირითადი და მეორეული რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის მუშაობის შესახებ გააკეთეს საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარის მოადგილემ ა. ი. ქართველიშვილმა, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ კ. ნ. შავიშვილმა, რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრმა ა. ო. მოვსესიანმა, საქართველოს სამრეწველო გაერთიანების „საქკონსერვმრეწვის" უფროსმა დ. გ. კეკენაძემ.

სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობის შედეგები შეაჯამა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ნ. ა. ჩითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი.

პარტიის სიტყვა—მასებს

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის სისტემისა და აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის სრულყოფა დღეს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების, ყველა იმათგანის ყურადღების ცენტრშია, ვინც წილნაყარია რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის ჩამოყალიბებასა და რეალიზაციასთან.

ამას ისახავდა მიზნად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ნ. ა. ჩითანავას გამოსვლა რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის" ლექტორთა აქტივის წინაშე. მან წაიკითხა ლექცია თემაზე „სასურსათო პროგრამის განხორციელება უპირველესი პარტიული საქმეა". (საქინფორმი).

1972-1982: ბრძოლისა და აღმშენებლობის ათი წელი

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების 10 წლის თავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

ქალაქის ცხოვრებაში თითოეული წელი ღრმა კვალს ტოვებს. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ჩვენს დედაქალაქში, რომელიც თვით ისტორიამ დააყენა მთელი ხალხის ცხოვრების შუაგულში. უკანასკნელი ათი წელი თბილისის ისტორიაში გახდა ღრმა გარდატეხისა და განახლების წლები, რომლებმაც შეუქცევადი პოზიტიური ცვლილებების ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია მთელი რესპუბლიკის, მისი თითოეული რეგიონის, სახალხო მეურნეობის, ეკონომიკის, კულტურის თითოეული დარგის ცხოვრებაში. ამ პროცესს დასაბამი მიეცა 1972 წლის 22 თებერვალს, როცა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ".

განვლილი ათი წლის მნიშვნელობაზე ყველაზე უკეთ მეტყველებს ეკონომიკა. მისი ემოციებს მოკლებული ენა გვაუწყებს ცნობებს, რომლებიც ძლიერ გრძნობებს იწვევს ჩვენში.

ათ წელიწადში სამრეწველო წარმოების მოცულობა თბილისში გაორკეცდა. ამასთან 80 პროცენტით ეს მიღწეულია. შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. 38-დან 1043 სახეობამდე გაიზარდა საპატიო ხუთკუთხედიანი პროდუქცია — ასეთია ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა.

საშუალო-თვიური ხელფასი თითქმის 30 პროცენტამდე გაიზარდა და 197 მანეთს მიაღწია...

ეს ციფრები მხოლოდ ცალკეული შტრიხებია იმ შესანიშნავ ცვლილებათა სურათზე, რომლებმაც ძირეულად შეცვალეს საქართველოს დედაქალაქის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება. ღრმად გაეანალიზებინა ეს ცვლილებები, განეზოგადებინა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შეძენილი გამოცდილება, ყოველივე დადებითის დამკვიდრებისათვის, — ასეთი იყო მიზანი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისა, რომელიც მიეძღვნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მეათე წლისთავს. კონფერენცია მოაწყვეს საქართველოს კომპარტიის საქალაქო კომიტეტმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა.

კონფერენციის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები გ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშქარაშვილი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. კ. ხარაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრები, ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

საკუთარი ძალების რწმენა წარმატებას ბადებს

საქართველოს დედაქალაქის დღევანდელი დღე, მისი კომუნისტების საქმეები მთელი სიცხადით მოწმობს, რომ ახლაც, ათი წლის შემდეგ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ წინანდელი ძალით რაზმავს დედაქალაქის, მთელი რესპუბლიკის მშრომელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმის — საქართველოს კომპარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელიც სათავეში უდგას ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ბრძოლას კომუნისტური მშენებლობის ახალი, კიდევ უფრო მაღალი მიჯნების მიღწევისათვის. ამ დასკვნამ განსაზღვრა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის თ. ნ. მენთეშაშვილის მოხსენების შინაარსი, ძირითადი დებულებანი.

მოხსენებასა და გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება დიდად საქმიანი დოკუმენტია, რომელიც გამსჭვალულია საბჭოთა საქართველოს კომუნისტებისადმი, ყველა მშრომელისადმი ღრმა ნდობის სულისკვეთებით.

ბრძოლის ათი წელი. ყოველივეს, რაც ამ წლებშია მიღწეული, მტკიცე საფუძვლად უდევს ორგანიზაციულ-პარტიული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა. რომლის გაუმჯობესებისათვის ზრუნვითაა გამსჭვალული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება. ეკონომიკის გაჯანსაღების ღონისძიებებთან ერთად მიმდინარეობდა კომუნისტური მრწამსის სულისკვეთებით, იმ გრძნობით მასების პოლიტიკური აღზრდის გაღრმავება, რომ თითოეული მონაწილეობს ყოველივე იმაში, რაც რესპუბლიკაში ხდება, მასებში პოზიტიური ცვლილებების შეუქცევადობის რწმენის დამკვიდრება. პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა განმტკიცდა ახალი, პარტიის საქმის ერთგული კადრებით.

ჩვენი ცხოვრების დემოკრატიული საფუძვლების შემდგომმა განვითარებამ და გაღრმავებამ საშუალება მოგვცა დაგვეძლია მასებისაგან ხელმძღვანელობის მოწყვეტა, რაც წინა წლებში წარმოიშვა.

თითოეული პარტიული პლენუმის დღის წესრიგის წინასწარ განხილვა განაპირობებს მშრომელთა აქტივობის, ხელმძღვანელობისადმი მათი ნდობის ზრდას. ეს პრაქტიკა აგრეთვე მოწმობს, რომ მკაცრი წესრიგი დამყარდა პარტიულ ცხოვრებაში, მიღწეულია მისი უმნიშვნელოვანესი შედეგი — რიგით კომუნისტებს განუმტკიცდათ თავიანთი ძალების, საზოგადოებაში ლენინური ნორმებისა და პრინციპების დამკვიდრების რწმენა.

ადვილი როდი იყო ზუსტი პარტიული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა. ბევრი სიძნელე დავძლიეთ კონსტრუქციულ გადაწყვეტათა ძიების დროს. სიძნელეები ახლაც გვაქვს. მაგრამ მთავარი მიღწეულია. მიღწეულია სისტემატურობა პარტიულ მუშაობაში, გაკაფულია წინსვლის უტყუარი გზა.

აღმშენებლობის ათი წელი... მასების პოლიტიკური შეგნებულობის გაღრმავებამ იდეოლოგიურად უზრუნველყო ეკონომიკური გარდაქმნები.

ათი წლის მანძილზე რესპუბლიკის დედაქალაქში საექსპლოატაციოდ გადაეცა მთელი რიგი დიდი სამრეწველო ობიექტები. მწყობრში ჩადგა სოციალურ-კულტურული დანიშნულების ბევრი ობიექტი, სამეცნიერო დაწესებულება.

ყველაფერი ის, რაც დაკავშირებულია უკანასკნელი ათწლეულის შედეგებთან, კონფერენციაზე განიხილეს მიღწეულის სოციალური მნიშვნელობის კუთხით, მშრომელი ადამიანის ცხოვრებაზე უშუალო გავლენის გათვალისწინებით.

აშკარად, გულახდილად, სიმართლით

საქმის ახლანდელი მდგომარეობა იდეოლოგიურ და ეკონომიკურ სფეროებში, აღნიშნეს კონფერენციაზე გამოსულებმა, დაკავშირებულია რესპუბლიკასა და მის დედაქალაქში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საგრძნობ გაჯანსაღებასთან. ეს დიდი გამარჯვებაა, რომელსაც მივაღწიეთ ძნელი შრომითა და უკომპრომისო ბრძოლით, ხაზგასმით აღნიშნა თავის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა დ. გ. სტურუამ.

ფართო და მრავალფეროვანია ამ დარგში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებათა სპექტრი. მას საფუძვლად უდევს გულახდილი საჯარო ინფორმაცია, რომელიც კომუნისტებს, ყველა მშრომელს აცნობს რესპუბლიკაში საქმის რეალურ მდგომარეობას. რესპუბლიკის ყველა იდეოლოგიურმა ინსტიტუტმა მთავარი ყურადღება მიაპყრო იმას, რომ აღზარდონ ადამიანები შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ყოველივე იმისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, რაც შეუთავსებელია კომუნისტურ მორალთან [...] ზნეობასთან.

მორალურ-ფსიქოლოგიური კლ[...] მატის გაჯანსაღებისათვის რესპუ[...]ლიკის კომუნისტთა მუშაობის პ[...]რველი ნაბიჯები შეაჯამა საქარ[...]ველოს კომპარტიის XXV ყრილ[...]ბამ. ამავე წელს ჩვენი პარტ[...] ცენტრალურმა კომიტეტმა ამხან[...] ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივ[...] მიიღო დადგენილება „პარტი[...] თბილისის საქალაქო კომიტეტ[...] ორგანიზატორული და პოლიტ[...]კური მუშაობის შესახებ სკკპ ც[...]ნტრალური კომიტეტის დადგე[...]ლების შესასრულებლად საქარ[...]ველოს პარტიული ორგანიზაცი[...] მუშაობის მიმდინარეობის თაო[...]ზე". ეს დოკუმენტი რესპუბლ[...] წინსვლის კიდევ ერთი სტიმ[...] გახდა.

განვლილი ათი წელი სამარ[...]ლიანადაა მიჩნეული გამარჯვებ[...] წლებად. ახლა რესპუბლიკა [...]ყებს ბრძოლისა და აღმშენებლ[...]ბის ახალ ეტაპს, რომელსაც [...] საბამი მიეცა შარშანდელი ზეი[...] მაისის დღეებში, როცა თბილ[...] აღინიშნა საბჭოთა საქართველ[...] და მისი კომპარტიის შექმნის [...] წლისთავი. ზეიმზე გამოსვლ[...] ლ. ი. ბრეჟნევმა დადებითი შე[...]სება მისცა გაწეულ მუშაობ[...] რესპუბლიკას, მის პარტიულ ო[...]განიზაციას კომუნისტური მშე[...]ბლობის ახალი ამოცანები და[...]ხა.

ამ მაღალმა შეფასებამ ახა[...] ძალები შთაგვინერგა. შთაგვა[...] განვაგრძოთ მუშაობა უფრო [...]ტი ეფექტიანობით, მეორე [...]კი განვსაზღვროთ ახალი მიჯ[...]მა, გამოვძებნოთ მოწინავე [...]ნების მიღწევის ქმედითი სა[...]ლებანი.

●

კონფერენციის მონაწილე[...] წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენ[...]ლურ კომიტეტს, სკკპ ცენტრა[...]რი კომიტეტის გენერალურ მ[...]ვანს, სსრ კავშირის უმაღ[...] საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდ[...]რეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, [...]მელშიც აღუთქვეს, რომ [...] ცედ აქვთ გადაწყვეტილი გა[...]ტკიცონ წარმატებანი, ამრავლ[...] მიღწეული, ყველაფერი იღო[...] იმისათვის, რომ საქართველ[...] საქმე ყოველთვის კარგად მი[...]ოდეს. (საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 წელი

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღებიდან

დიად გარდაქმნათა ნიშანსვეტი

საეტაპო, ისტორიული

ხვალ სრულდება ათი წელი, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ზოგადპარტიული, ჩვენი რესპუბლიკისათვის საეტაპო დიდმნიშვნელოვანი დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ". მას შემდეგ ეს ისტორიული დოკუმენტი საქართველოს მთელი პარტიული ორგანიზაციისათვის, რესპუბლიკის მშრომელებისათვის ცხოვრების, შრომისა და მოქმედების ჭეშმარიტ სახელმძღვანელოდ, ნათელ ნიშანსვეტად იქცა.

ძნელია ყველა იმ სიკეთის მარტოოდენ ჩამოთვლაც კი, ამ დადგენილების შესასრულებლად გაშლილი დიდი ბრძოლის გზაზე რომ მოვიპოვეთ. ამ ბრძოლის პირველი შედეგები კმაყოფილებით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში, სადაც ნათქვამია: „პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც საქართველოს სსრ სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში ხდება, პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების არსებითად გაუმჯობესების, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული შეკავშირების, მასებთან მისი კავშირის განმტკიცების შედეგია".

რესპუბლიკის ყველა პატიოსანი მშრომელის გულს კანონიერად ახარებს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, გასულ წელს ჩვენს დიდ საიუბილეო ზეიმზე რომ თქვა, — საქართველოში საქმე კარგად მიდისო!

და ბოლოს, განა საბჭოთა საქართველოს დიდი ალმასვლის მაჩვენებელი არ არის ამ დღეებში უკვე ზედიზედ მეცხრედ მოპოვებული, საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშა?!

მაგრამ დღეს, როცა დიდი ბრძოლის, შრომისა და შემოქმედების სახელოვან ათწლეულს აღვნიშნავთ, სრულიადაც არ ვფიქრობთ ზეიმისათვის განვეწყოთ და ტაში დავცხოთ. პარტიის თბილისის კომიტეტის თაობაზე მიღებული დადგენილების ათი წლის თავი ის მწვერვალია, ის შესანიშნავი გადასახედია, საიდანაც უნდა დავინახოთ არა მარტო დიდი გარჯითა და რუდუნებით შექმნილ-ნაშენი, არამედ დღემდე გაუკეთებელი და მიუღწეველიც, ის ჩრდილები და ვიწრო ადგილებიც, რომლებიც ხელს უშლის ჩვენს თანამიმდევრულ და ბეჯით წინსვლელობას.

ეს იმას ნიშნავს, რომ 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილება ამიერიდან მარტო ისტორიის კუთვნილებად არ უნდა მივიჩნიოთ, მას ყავლი არ გაუდის. იგი ხანგრძლივი მოქმედებისაა და კვლავაც ცხოვრობს, იბრძვის ჩვენთან ერთად, დღესაც და მომდევნო წლებშიც იგი რესპუბლიკის თითოეული კომუნისტისა და მშრომელისათვის ბრძენი მრჩეველი, ჩვენი ყოველდღიური შრომისა და აღმშენებლობის განუყრელი სახელმძღვანელო იქნება.

სწორედ ასეთი განწყობილების დასტურია ამ გვერდში გამოქვეყნებული წერილებიც.

> მთლიანად რესპუბლიკის წვლილი ქვეყნის საერთო დოვლათში ახლა ნიადაგ იზრდება. ათი წლის მანძილზე მრეწველობის პროდუქციის წარმოება გაორკეცდა, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა. მეათე ხუთწლედის დავალებები ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ვადამდე შესრულდა. ეს, ამხანაგებო, კარგი მიღწევებია!
>
> ლ. ი. ბრეჟნევი

ეფექტიანი ფორმების ძიებაში

სანამ უშუალოდ ფაქტებს მოვიყვანდე, ერთხელ კიდევ მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ყველაფერი ეს ხდება ქალაქში, სადაც ამ ათიოდე წლის წინათ პარტიულ ორგანიზაციას დაკარგული ჰქონდა ავანგარდული პოზიციები და მოვლენების კუდში მაჩანჩალის როლში გამოდიოდა. აბა, სხვა რას შეიძლება მოწმობდეს ეს ციფრობრივი მონაცემები: 1971 წელს ქალაქის სამრეწველო საწარმოთა 27 პროცენტმა, ანუ ყოველმა მეოთხე საწარმომ ვერ შეასრულა საერთო პროდუქციის წარმოების დავალება. მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა მომდევნო, 1972 წელს, როდესაც საწარმოთა მხოლოდ 14 პროცენტმა იმუშავა რიტმულად, წლის შედეგების მიხედვით კი ჩამორჩა ყოველი მეოთხე საწარმო. მკვეთრად გამოიკვეთა ჩამორჩენის ზრდის ტენდენცია. იმის ნაცვლად, რომ მთელი ყურადღებით მოჰკიდებოდნენ საწარმოთა გამართულ მუშაობას, პრაქტიკაში დაინერგა დავალებათა კორექტირების მავნე, ყოვლად გაუმართლებელი ჩვევა, რის შედეგად სახელმწიფოს 26 მილიონ 400 ათასი მანეთის პროდუქცია დააკლდა..

თბილისის პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ ქ. ქუთაისის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ მუშაობა ორი მიმართულებით წარმართა: პირველი — ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა, და მეორე — კადრების სწორად შერჩევა და განაწილება, ხელმძღვანელობის მეცნიერულ საფუძვლებზე აგებისა და მუშაობაში ლენინური სტილის დანერგვა, სახალხო მეურნეობის განვითარებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესება.

სწორ, მეცნიერულად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებ, თუ არ იცი ადამიანთა კოლექტიური აზრი და მისწრაფება, მათი განწყობილება, სურვილი, შეხედულებანი ამა თუ იმ საკითხზე. ამ ანბანურ ჭეშმარიტებაზე წლების მანძილზე არავინ დაფიქრებულა. ხშირად ისეთ დაუსაბუთებელ და ნაჩქარევ დადგენილებებს იღებდნენ, რომელთაც განხორციელება არ ეწერა. აშკარა იყო, პარტიის საქალაქო კომიტეტის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის სტილი უნდა შეცვლილიყო. კონკრეტულად საჭირო იყო, რომ ყველა დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე გაეწიათ გულმოდგინე მოსამზადებელი მუშაობა, სოციოლოგიური კვლევა, გამოეჩინათ საკითხებისადმი ღრმა, მეცნიერული მიდგომა. ასე ჩაეყარა საფუძველი საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს, პარტიის საქალაქო კომიტეტის საინფორმაციო სექტორს. იგი პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს ეხმარება და ხელს უწყობს სწორ გადაწყვეტილებათა შემუშავებაში. ქალაქის დიდ საწარმო-დაწესებულებებში შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ჯგუფები, ხოლო ინფორმაციის სექტორში თავი მოიყარა ქვემოდან ზემოთ მომავალმა მდიდარმა ინფორმაციამ.

ყველაფერმა ამან საშუალება მოგვცა დაგვესკვნა, რომ სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს ბევრად მეტის გაკეთება შეუძლიათ, ვიდრე ეს განსაზღვრული იყო მათი გეგმებითა და სოციალისტური ვალდებულებებით. შემუშავდა და ფართოდ განვითარდა შემხვედრი გეგმა-ვალდებულებების მიღების პრაქტიკა, წესად იქცა სოციალისტური შეჯიბრების ყოველდღიური შეჯამება, მეტი ყურადღება დაეთმო წარმოების მაღალი კულტურისა და პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლას, დაიწყო ცალკეულ საწარმოთა მიხედვით ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის შემუშავება, და, რაც მთავარია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებათა შედეგად საქალაქო პარტიულ ორგანიზაციას საშუალება მიეცა ეგრეთ წოდებული შინაური საქმეები ემართა უმეურვეებოდ, ზედმეტად ჩაურევლად, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების სრული დაცვით. ამასთან ერთად წამოიჭრა ისეთი საკითხები, რომელთა დამოუკიდებლად გადაწყვეტა არ შეიძლებოდა, მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სრული მხარდაჭერითა და დახმარებით, საქალაქო კომიტეტის თხოვნის შესაბამისად, ქუთაისში სხვადასხვა დროს ჩამოვიდნენ და პარტიული აქტივებისა და პლენუმების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს და მომწიფებული, ცხოვრების მიერ ნაკარნახევი საკითხების დადებითად გადაწყვეტაში თავიანთი ავტორიტეტული სიტყვა თქვეს რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის, მთელი რიგი სამინისტროების ხელმძღვანელებმა და უწყებათა მუშაკებმა.

მუშაობის ამ ახალ სტილს სასარგებლო შედეგები მოჰყვა. უკვე მეცხრე ხუთწლედში ქალაქის მშრომელებმა პირნათლად გაანაღდეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი — ძირითად სახეობათა მიხედვით ხუთწლედის შესრულება სამშობლოს დიდი ოქტომბრის 58-ე წლის თავის ზეიმზე უპატაკეს.

უფრო დიდი წარმატება მოვიპოვეთ მეათე ხუთწლედში. ჯერ კიდევ ხუთწლედის დასაწყისში შემუშავდა ქუთაისის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1976-1980 წლების კომპლექსური გეგმა, რამაც საშუალება მოგვცა თითოეული დარგისა თუ საწარმოს განვითარება ორგანულად შეგვეჯერებინა ქალაქის ზრდის პერსპექტივებთან. ჩვენმა საწარმოებმა ნაყოფიერად იმუშავეს მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს, გეგმის გადამეტებით 9 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. ქუთაისი მეცხრე ხუთწლედის ბოლო ორი წლიდან მოყოლებული უცვლელად ინარჩუნებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას.

მაგრამ მთავარი მაინც ეს არ არის. მთავარი ის გახლავთ, რომ ეკონომიკური განვითარების პრობლემებისადმი ძირეული შემობრუნება არა მარტო პარტიული ორგანიზაციების, არამედ მთელი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. ახლა საწარმოთა მიერ სახელმწიფო დავალებებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას თვალს ადევნებს ყველა, დიდი თუ პატარა. ვთქვათ, საავტომობილო ქარხანა ჩამორჩა, განგაშია ამტყდარი. რა მოხდა, რატომ ჩამორჩნენ ავტომშენებლები? — კითხულობენ მელითოფონეები, ფეიქრები, ელექტრომექანიკოსები. სწორედ ეს დაინტერესებაა მთავარი, მისწრაფება — ქალაქში არ იყოს არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო, ჩამორჩენილი კოლექტივი.

მაგალითად, მეათე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლიანი გეგმა 102,1 პროცენტით შესრულდა და მისმა მატებამ 1975 წელთან შედარებით 277 პროცენტი შეადგინა.

არსებითად გაუმჯობესდა სამშენებლო საქმე. 1976-1979 წლებში ამოქმედდა 46 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების საწარმოო ფონდები, ვიდრე მეცხრე ხუთწლედის შესაბამის პერიოდში. შემდგომ განვითარდა და განმტკიცდა სამშენებლო ორგანიზაციებისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მეათე ხუთწლედში აიგო 377 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები, ბოლო ათწლეულში არ ყოფილა არც ერთი წელიწადი, რომ აუთვისებელი დარჩენილიყოს ბინათმშენებლობისათვის გამოყოფილი თანხები.

ქალაქის პარტიული ორგანიზაცია მტკიცედ იბრძვის ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. გვაქვს ამ ბრძოლის დადებითი შედეგები, მაგრამ საკმარისია ყურადღების მოდუნება, რომ კვლავ და კვლავ შეგვახსენოს თავი ამგვარმა მოვლენებმა. შემუშავდა და დაინერგა საინტერესო სისტემა სამართალდარღვევათა აღმოფხვრისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის.

ერთ საგაზეთო სტატიაში იმის უბრალო ჩამოთვლაც კი შეუძლებელია, რაც ამ ბოლო წლების მანძილზე გაკეთებულის სრულ სურათს მოგვცემდა. მაგრამ არც ის შეიძლება, რომ გვერდი ავუაროთ რადიკალურ გარდაქმნებს, რომლებიც პარტიულ-ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ საქმიანობაში ხდება.

პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა მიმდინარეობს პარტიული მშენებლობის კანონზომიერების, პარტიული ხელმძღვანელობის მეცნიერულად დასაბუთებული საშუალებების, ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიებით, შერჩევითა და გამოყენებით. უდიდესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ქუთაისის დარაიონების შესახებ. ქალაქის ორ რაიონად გაყოფამ, შესაბამისი პარტიული და საბჭოთა მმართველობის ორგანოების შექმნამ არსებითად გააუმჯობესა ცხოვრების ყველა სფეროსადმი ხელმძღვანელობის დონე. ზონებისა და სპეციფიკის მიხედვით საჭიროდ ვცანით განგვეხორციელებინა ზოგიერთი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიება. უწინარესად საქმე ეხება თვით პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აქტივისტების ინსტრუქტაჟსა და სწავლებას, პარტიულ ორგანიზაციებში მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელებას. ამ მიზნით შეიქმნა ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის ცხრამეტი მეთოდკაბინეტი.

ჩვენთან დიდი ყურადღება ეთმობა ინფორმაციას, განსაკუთრებით ქვემოდან ზემოთ. სწორედ ამ საქმეს ემსახურებოდა პარტიის საქალაქო კომიტეტში 1973 წლიდან შექმნილი საინფორმაციო სექტორი, რომელიც ქალაქის დარაიონების შემდეგ უფრო სრულყოფილი და მოქნილი გახდა. ამჟამად საინფორმაციო სექტორის ფუნქციები ძირითადად გადაეცა რაიონული კომიტეტების საინფორმაციო სექტორებს, მათვე გადაეცათ სხვადასხვა ტექნიკური საშუალებანი. ახალი ვითარების საფუძველზე განისაზღვრა ახალი ამოცანები. კერძოდ, დავიწყეთ ფიქრი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენებით პარტიულ მუშაობაში მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვაზე. 1979 წლის სექტემბერში, საქალაქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით, შეიქმნა მართვის ავტომატიზებული სისტემის შემუშავებისა და დანერგვის საქალაქო საბჭო, დამუშავდა რამდენიმე პროგრამა, რომლებიც უკვე მოქმედებს. მუშავდება კონტროლის, კადრების რეზერვებისა და იდეოლოგიური მუშაობის მართვის სისტემები.

როგორც ზემოთ ითქვა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კადრების სწორ შერჩევასა და განაწილებას, რადგან კარგად ვიცით, რომ წარმატებებს ეკონომიკაში განაპირობებს ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობა, მათი კომპეტენტურობა, იდეური წრთობა, ადამიანების ცოდნა, კოლექტივის დარაზმვის უნარი. თავდაპირველად, რასაკვირველია, ბევრი ნომენკლატურული მუშაკი შეიცვალა. შემდგომში პარტიის საქალაქო კომიტეტი არაერთხელ დაუბრუნდა კადრებთან მუშაობის საკითხებს.

ყოველივე ეს მისასალმებელია. მაგრამ კვლავ დიდი მუშაობა მოგველის მთელი რიგი რთული პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც თანდათან უფრო გამოიკვეთა ჩვენ წინაშე და რომლებსაც ხაზი გაუსვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლის თავის გამო ქ. თბილისში გამართულ ზეიმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

პირველ რიგში საკითხი ეხება ისევ და ისევ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, წარმოების შინაგანი რეზერვების მაქსიმალურ გამოვლენას და გამოყენებას, შრომითი რესურსების ორგანიზებულ ამოქმედებას, უხარისხო მშენებლობის აღკვეთას, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, სამართალდარღვევებთან ბრძოლის გაძლიერებას და ა. შ. ერთი სიტყვით, საქმე თავზე საყრელია, არის სირთულეები, მაგრამ ამასთან არის რწმენაც. ხოლო სადაც რწმენაა, იქ გამარჯვება უცილობელია.

ნ. რუხაძე,
საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ფასი რწმენისა

ზოგჯერ დავფიქრდები და თავადვე გამიკვირდება ხოლმე: ჩემი ასაკისათვის ერთობ ბევრის ნახვა და გადატანა მომიხდა, გული, ენერგია და შეხედულებები კი დიდად არ შემცვლია, თუნდაც იმ დროიდან მოყოლებული, როცა ახლადსკოლადამთავრებული ქალიშვილი მეზენიტეთა დივიზიონში ვმსახურობდი და ფაშისტებს ვებრძოდი. ომის დამთავრებისას დივიზიონის პოლიტხელის მოადგილე ვიყავი. მერე ქლუხორში ვცხოვრობდი და უკვე შრომის ფრონტზე ვიბრძოდი (ასე ვამბობდით მაშინ).

ამ ამბების გახსენება იმიტომ დამჭირდა, ჩემი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდის კონტრასტები დაგიხატოთ.

ჯერ ნელ-ნელა შემოგვეპარა, მერე კი გაგვიბატონდა ნეგატიური მოვლენების ხანა, როცა თავი იჩინა მამებლობამ, ძმაკაცობამ, ნათესაობის ავი მხრით გამოყენებამ, სინამდვილისადმი თვალის მოხუჭვამ.

მაშინ ძალიან მეუხერხულებოდა ხოლმე ჩემი თაობის საქმეებზე ლაპარაკი. მეშინოდა, არ დამიჯერებდნენ. ვაკვირდებოდი, რომ ჩემი მოსწავლეები გარშემო ცხოვრების ცუდ მაგალითებს ხედავდნენ და ეს მაგალითები თითქმის წესად მიაჩნდათ. ერთხელ ერთმა მოსწავლემ მითხრა: რა ბედნიერი იყო, ნატალია მასწავლებელო, თქვენი თაობაო. მე ვუპასუხე, რომ პირიქით: მათი თაობა გაცილებით უფრო ბედნიერია და ჩვენ ასეთი ბედნიერება არც კი დაგვესიზმრებოდა. იცით რა მითხრა? — მასწავლებელო, ერთი ჩემი მეზობელი, მას თქვენ იცნობთ, ფრიადოსანი მოსწავლე იყო. ამბობენ, საშუალო სკოლა ისე დაამთავრა, წარჩინებულთა დაფიდან მისი სურათი არ ჩამოუხსნიათო. ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე პირველ საგანშივე ორიანი დაუწერეს. იმავე ინსტიტუტში აბარებდა ჩემი ნათესავი ვაჟი, რომელიც ყოველთვის ცუდად სწავლობდა. ახლა სტუდენტია, როგორც ვატყობ არც ამჟამად ბეჯითობს. აი, თქვენს დროს განა ასეთი რამ მოხდებოდა?

აბა, რაღა მეთქმოდა? პედაგოგისათვის ამ დროს ძალზე ძნელია პასუხის გაცემა. პედაგოგისათვის-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ტრაგედიაა, თუ მოსწავლეს ჩვენი სიტყვისა არ სჯერა.

ვამბობდით, როგორ არ ვამბობდით, პირად საუბრებშიც გამოვთქვამდით უკმაყოფილებას, პარტიულ კრებებზეც კი გვიმსჯელია. მე ხომ ის არ მომწონდა, რაც სხვასაც არ მოსწონდა.

მტკიცედ მჯერა: გავა ხანი, და ვინც საქართველოს რესპუბლიკის ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით დაინტერესდება, გვერდს ვერ აუვლის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ზუსტად ათი წლის წინათ მიღებულ დადგენილებას.

დღითიდღე ჯანსაღდება მორალურ-პოლიტიკური ატმოსფერო. ასეა მთელ რესპუბლიკაში და მეტალურგთა ქალაქ რუსთავშიც. შედარებაც კი არ შეიძლება, ისე გაგვიმრავლდა სიკეთე. ჩვენს თვალწინ იდევნება ბიუროკრატიზმი.

გასულ ზაფხულშიც ჩვენი 14 კურსდამთავრებული მოეწყო უმაღლეს სასწავლებლებში. თითოეული მათგანის იმედი გვქონდა.

თუმცა ნაადრევია იმის თქმა რომ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლა დავამთავრეთ. ბევრ წვრილმანში ვლინდება ხოლმე ცხოვრების მანკიერი მხარეები, განსაკუთრებით კი მშრომელთა მომსახურების სფეროში.

მხოლოდ ერთი მაგალითით დავკმაყოფილდეთ. მთელ ამხელა ქალაქში გაღმა-გამოღმა, ერთადერთი ქიმწმენდის პუნქტი არსებობს. ისიც დღეისათვის უკვე პრიმიტიულად გამოიყურება, იმიტომ მოსახლეობას სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს და თავისთავად ნეგატიური მოვლენების წარმომშობი ბუდეა.

ნ. სანოძე,
ქალაქ რუსთავის I საშუალო სკოლის დირექტორი.

ამ ათწლეულის პირმშოა გიგანტი ენგურჰესი. სურათზე მარჯვნივ თქვენ ხედავთ ძალური კვანძის მიწისქვეშა საგენერატორო სადგურის ხედს. ქვემოთ — ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის მოწინავე მშენებელთა ერთ ჯგუფს.

ი. ფუტკარაძის ფოტო.

როცა ხვალინდელ დღეს უკეთ ხედავ...

მახსოვს, ამ შვიდიოდე წლის წინათ ჩვენს, № 1 სართავ წარმოებაში პარტიული კრება მზადდებოდა. დღის წესრიგი ფრიად აქტუალური იყო — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში № 1 სართავი წარმოების პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

ჩვენი წარმოების პარტიულ ბიუროში კამათში გამოსვლა შემომთავაზეს. ამასთან პარტბიუროს მდივანმა საგანგებოდ აღნიშნა ის ფაქტი, რომ კრებაზე განხილული საკითხი პარტიის თბილისის კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის დადგენილებიდან გამომდინარეობდა. ამან პასუხისმგებლობის გრძნობა გამიორკეცა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელ ფეიქარს, საწარმოში პირდაპირ სასკოლო მერხიდან მოსულს, მთელი სიღრმით და სისრულით როდი მქონდა აღქმული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეს ცნობილი დადგენილება.

კამათი კრებაზე პრინციპული, საქმიანი, უკომპრომისო იყო. რესპუბლიკაში მიმდინარე მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების პროცესს, — ითქვა კრებაზე, — ფეიქრები კუდში მივჩანჩალებთ. ახლა, როცა ქალაქის სხვა სამრეწველო საწარმოებში — ხელსაწყოთმშენებელთა, მეკონსერვეთა, მპალმქღენთავეთა შრომით კოლექტივებში დაუნდობელი ბრძოლაა გაჩაღებული ნეგატიური მოვლენების, წარსულის მანკიერი გადმონაშთების საბოლოოდ აღმოფხვრისათვის, ფეიქართა კოლექტივი ძველებურად გულარხეინობისა და თვითდამშვიდების ტყვეობაშიაო.

ეს ასეც იყო. ზერელობა და ფორმალიზმი მუშაობაში ამუხრუჭებდა საქმეს, არ სრულდებოდა გეგმები, რომ აღარაფერი ვთქვათ ხუთიათასკაციანი კოლექტივის სხვა სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ.

დღეს მოწინავეთა რიგებში ვართ. სახელმწიფო დავალებებს მარტო ჩვენი კომბინატი კი არა, ქალაქის პრაქტიკულად ყველა წარმოება-დაწესებულება ასრულებს.

დიახ, შორს დარჩა ყველა ის ეჭვი, უნდობლობა და შიში, შევძლებდით თუ არა დიდ საქმეთა თავდადგმას. დიდი ყოფილა კოლექტივის ძალა, ხალხის ნება.

მე რომ მკითხონ, რა შეიცვალა ამ ხნის მანძილზე ფეიქართა, ჩვენი ქალაქის შრომითი კოლექტივების ცხოვრებაში, მოკლედ ვუპასუხებდი: რწმენა, მინდობილი საქმისადმი დამოკიდებულება. დადებითი ცვლილებები მოხდა მუშაკაცის აზრებისა და გრძნობების სამყაროში.

წინათ, ალბათ, არასდროს ისეთი თანამედროვე ჟღერადობა არ ჰქონია ფრთიან გამოთქმას — ჩემი შრომა ერთვის რესპუბლიკის შრომას — როგორც დღეს. ასე რომ არ იყოს, არ გვეყოლებოდა ქალაქში ამდენი წარმოების ნოვატორი: ხელსაწყოთმშენებელი ზეინკალი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. ბლუაშვილი, მეკონსერვე თ. მაჭარაშვილი, მშენებელი მუშა ი. ზედგინიძე, ფეიქრები ნ. ორჯონიკიძე, ლ. ლომიტაშვილი და სხვები, რომელთა შრომით კალენდარზე დღეს 1983 ან კიდევ უფრო შორეული მომავლის წლებია. პირადად მე გასულ ხუთწლედში ორი ხუთწლედის დავალება შევასრულე.

მთელი გულით ამბობს მადლობას დღეს ათასობით გორელი მშრომელი, ისინი, ვინც ახალმოსახლეობა იზეიმა, ვინც ცხოვრების პირობები გაიუმჯობესა.

მაშ, რა გამოდის, ყველგან და ყველაფერში მდგომარეობა საბოლოოდ გამოსწორდა? არა, რა თქმა უნდა, პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება უპირველესად ხომ იმას გვასწავლის, რომ დასაგმობია მიღწეულით თვითდამშვიდება და გულარხეინობა. თუ გაკეთებულს ამ საზომით მივუდგებით, ნაკლოვანებები მუშაობაში ჯერ ისევ ბევრი გვაქვს. აი, თუნდაც ჩვენი გაერთიანების მაგალითი: წარმოების ხელახალი ტექნიკური აღჭურვა ნელი ტემპით მიმდინარეობს, სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხარისხი ხშირად დამაკმაყოფილებელი ვერ არის, ჯერ კიდევ ცოტა კეთდება კოლექტივში მოსული მუშის შენარჩუნებისათვის...

ჩვენს გაერთიანებაზე ნათქვამი შეიძლებოდა მეტ-ნაკლებად ქალაქის თითქმის ყველა წარმოება-დაწესებულებაზე გაგვევრცელებინა. ეს არის ჩვენი ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები, რომელთა საერთო-სახალხო ინტერესების სამსახურში ჩაყენება გადაუდებელი საქმეა.

იყო დრო, და არცთუ ისე შორეულ წარსულში, როცა მშრომელ კაცს, ცოტა არ იყოს რწმენაგაბზარულს, დღევანდელი დღისაც არ სჯეროდა. დღეს კი, მრავალი სიძნელის მიუხედავად, ხვალინდელსაც იმედიანად შევყურებთ.

მ. ალგუთაშვილი,
გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების №1 სართავი წარმოების მრთველი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ჩაის პლანტაციებში.

მეცხოველეობაზე ზრუნვით

ჩემი მშობლიური არტანი ივრის ხეობის ზემო წელში ბოლო სოფელია, რომელიც უშუალოდ მთებსა და ალპურ საძოვრებს ესაზღვრება. ამდენად გასაგებია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც მის შენარჩუნებასა და შემდგომ განაშენიანებას, მის ხვალინდელ დღეს ენიჭება.

ის სასიკეთო გარდაქმნები, რომლებიც ბოლო ათწლეულის მანძილზე რესპუბლიკაში მიმდინარეობს, ცხადია, ჩვენს კუთხესაც შეეხო. კონკრეტულად არტნის საბჭოში შემავალ სოფლებზე მოგახსენებთ. მარტო ის რად ღირს, რომ ახლა ივრის სათავეებისაკენ მიმავალი მგზავრი ხეობაში ფართო, მოპირკეთებული გზით შედის. ახალი რკინა-ბეტონის ხიდები გაიდო ლიშოურაზე, ბოდახეურაზე, ქუშხეურაზე, არტნულაზე. ქუმხევში ერთ კილომეტრ სიგრძეზე მოეწყო სასოფლო გზა. ლიშოში კი გაკეთდა ღამის განათება.

ჩვენი მეცხოველეები, მწყემსები, მწველავები განსაკუთრებით გახარა ყვარისა და ხილიანის მიმართულებით, ბაჩალასა და ხაშარში, სოფლიონისა და შარახევის მთებში გაყვანილმა გზებმა. საზაფხულო ფერმებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა. ეს სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში მეტ სტიმულს გვმატებს.

ლიშოს მისასვლელთან, ამომრჩეველთა მოთხოვნით 1,6 კილომეტრი სიგრძის გზა გაფართოვდა. მალე ზემო და ქვემო არტნის მოსახლეობა სასმელ წყალს მიიღებს. საბჭოში შემავალ სოფლებში ბოლო დროს შესამჩნევად გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურება. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ის იმედია, მშრომელ კაცს რომ აქვს დღეს ჩვენთან. მას შესაფერისი პატივი მიეგო, დააფასეს, აღიარეს, მატერიალურ და მორალურ სტიმულირებას არ იშურებენ მისთვის.

ამის ნათელი მაგალითი თუნდაც ჩემი, მწველავი ქალის შრომაა: 23 წელია ზამთარ-ზაფხულს ფერმას ვემსახურები. თავი არასდროს დამიზოგავს, მაგრამ ჩემს ნაშრომს განსაკუთრებული პატივი განვლილ ორ ხუთწლედში ხვდა წილად. დაჯილდოებული ვარ ორი ორდენითა და მედლებით, ამირჩიეს სასოფლო და რაიონული საბჭოს დეპუტატად. ამ ხუთი წლის წინათ კომუნისტურ პარტიაში შესვლის სურვილი გამოვთქვი და მიმიღეს კიდეც.

არ გადავაჭარბებ, პირდაპირ ვიტყვი, რომ ბოლო წლები მეცხოველეობისათვის განსაკუთრებული ზრუნვის პერიოდია. ამ დარგს მარტო ერთი პლენუმი როდი მიეძღვნა. დიდი ხნის მანძილზე მუშაობა გვიხდებოდა ძველ პრიმიტიულ ფერმაში, რომელიც სოფლის ცენტრში მდებარეობდა და სოფლის იერ-სახეს აშკარად ართმევდა შნოსა და ლაზათს. დღეს თანამედროვე ტიპის მეცხოველეობის კომპლექსში ვშრომობთ, რომლის სათანადო მოწყობა, სრულყოფა გრძელდება. შრომისა და დასვენების პირობები დიდად გაგვიუმჯობესდა. მაგალითად, მე და ჩემს შვილს თამარს გვაქვს ცალკე ოთახი და ფერმაში როგორც საკუთარ ჭერქვეშ, ისე ვგრძნობთ თავს.

ჩვენ, დეპუტატები და სოფლის აქტივი, დიდი სიხარულით ვეგებებით მთის სოფლებში, მამაპაპათა ნაფუძვარზე დაბრუნებულ მის ყოფილ მკვიდრთ. მაგალითად, ლიშოში შემოგვემატა ხვთისო მამსიკაშვილი, ღორღაში ალექსი ტვირთაშვილი, ზემო არტანში ალექსი კარატიელი და სხვები. ისინი მთის განახლების პირველი მახარობლები არიან. ჩვენი სოფლების ხვალინდელი დღე კი გვწამს. გვწამს, რომ ჩვენთან ამობრუნებულთა რიცხვი იმრავლებს და მთაშიც ახალი ძალით აჩქეფდება სიცოცხლე.

ეს სოფლის დონეზე მოგახსენებდით, მის სატკივარზეც დაუფარავად მინდა ვთქვა: ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი და მოსაგვარებელი, რომელთა ხორცშესხმა სასურველია და ზედმეტ დახანებასაც ზიანის მეტი არა მოჰყვება რა.

უწინარესად დავასახელებ სოფლის მოსახლეობის დასაქმების პრობლემას. ჩვენთან არ არის არავითარი ისეთი საწარმო, სადაც შესაძლებელი იქნებოდა თავისუფალი მუშახელის გამოყენება. მოგეხსენებათ, მეცხვარეობა და მესაქონლეობა ბევრ მუშახელს საჭიროებს, მაგრამ ყველას მაინც ვერ უზრუნველყოფს შესაფერისი სამუშაოთი.

მწვავედ განვიცდით ცალკე ვეტუბნის უქონლობას. კერძო სექტორში საკმაო რაოდენობით არის ღორი, ცხვარი, საქონელი. გარდა ამისა ჩვენთან სამთო საძოვრების ტრასაც გადის და არსებითად წლის მნიშვნელოვან პერიოდში საზოგადოებრივი პირუტყვი ახლომახლო მიდამოში ტრიალებს. რაიონის მთავარი ვეტსამკურნალო კი ყოველთვის დროულად ვერ უზრუნველყოფს ადგილზე საქმიან ჩარევასა და დაავადებათა დროულ აღკვეთას.

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაწილი ახლა მეცხვარეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანებას ეკუთვნის. მაგრამ მისმა მესვეურებმა ჯერ კიდევ ვერ გამონახეს უფრო ვარგისი ფორმა ამ სავარგულების გამოყენებისა და პატრონობისათვის.

უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს სოფლიონის სამთო გზებიც, რომელიც ადგილ-ადგილ წყალმა და ღვარმა დაშალა და სახე უცვალა. ჩვენი ფერმის საზაფხულო იალაღები აქ არის. გზებზე კი, მოგეხსენებათ, ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამასთანავე, ეს ადგილი თითქმის ცხვრის ტრასად არის ქცეული. ვიდრე ჩვენი საქონელი ავიდოდეს, შირაქიდან მომავალი ცხვარი მას ერთიანად გადაძოვს და გადათელავს ხოლმე. ჩვენი პირუტყვისათვის ბალახი და საიალაღო ცოტა თუ რჩება, რაც, ცხადია, წველადობას ამცირებს და სხვა დამატებითს სიძნელეებსაც გვიქმნის. აი ლიშოსა და ქუშხევის სამთო საძოვრები კი ჩინებულად გამოიყურება, იქ საზაფხულო ბინის დადება ჩვენთვის დიდად ხელსაყრელი და სასარგებლო იქნებოდა.

ივრის გაღმა-გამოღმა სოფლების დაკავშირებისათვის დროული და აუცილებელია გაკეთდეს კიდული ხიდი, ვინაიდან ღორისა და საქონლის ფერმებში დასაქმებულთა უმეტესობას სიარული ივრის გაღმა უხდებათ. დღემდე ისინი წყალზე გადებული მორის ანაბარა არიან, რომელზეც გავლა აშკარად სახიფათოა, განსაკუთრებით ავდარში.

მეტი ყურადღება და მზრუნველობა სჭირდება სოფლად კულტმასობრივ ღონისძიებებს. საჭიროა ფერმებსა თუ დასაქმების სხვა ადგილებზე აგიტატორებისა და პოლიტინფორმატორების საინტერესო და შინაარსიანი საუბრების მოწყობა, თვალსაჩინოებათა შედგენა და გამოყენება, სოციალისტურ შეჯიბრებაში ფორმალიზმთან ბრძოლა.

ნ. კუდიანაშვილი,
ახალსოფლის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი, თიანეთის რაიონული საბჭოს დეპუტატი.

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის

ფოკუსშია საქართველო

ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიადი კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს მიეძღვნა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში გამართული ძერჟინსკის რაიონისა და საქართველოს მშრომელთა მეგობრობის საღამო.

შეხვედრა გახსნა ძერჟინსკის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გ. პლუჟნიკოვამ. მან ილაპარაკა მეგობრულ ურთიერთობასა და ყოველმხრივ თანამშრომლობაზე, რომელიც უკვე მრავალი წელია აკავშირებს მოსკოვის ამ რაიონისა და საქართველოს მშრომელებს.

— ჩვენ, — თქვა მან, — დიდი ყურადღებითა და დაინტერესებით ვადევნებთ თვალს ცხოვრების ყველა სფეროში ქართველი ხალხის წარმატებებს, გვახარებს მიღწევები, რომლებიც ესოდენ საგრძნობია უკანასკნელ ათწლეულში ახლანდელი შეხვედრა — ერთი მრავალთაგანია, რომელიც ჩვენ გვანათესავებს, გვამდიდრებს, საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი. მაგრამ იგი განსაკუთრებულია იმით, რომ ჩვენ ვხვდებით საქართველოს მშრომელთა იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ მოსკოვში, თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის შემდგომ აყვავებაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგემ რ. ანდრონიკაშვილმა ილაპარაკა დღევანდელი საქართველოს სახალხო მეურნეობის, კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრების მიღწევებზე.

დარბაზში სინათლე ქრება და ინთება პოლიეკრანი. მას შეხვედრის მონაწილენი გადაჰყავს საქართველოს ჩაის პლანტაციებსა და ვენახებში, საშუალებას აძლევს შეიხედონ დიდი საწარმოების საამქროებში, საკონცერტო დარბაზებში, მუზეუმებში, თეატრებში...

შეკრებილთა წინაშე გამოვიდნენ პოეტი მ. ქვლივიძე, პიანისტი მ. ზვიტია, ბალერინა ნ. ანანიაშვილი, ბაბუშკინოს კულტურის სახლის ანსამბლი „კოლხეთი“ რ. ჯანიაშვილის ხელმძღვანელობით.

შეხვედრის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს ლეგენდარული მზვერავი ქალის თ. მახარაძის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლის გ. ლომიძის გამოსვლები.

შემდეგ ნაჩვენები იყო სტუდია „ქართული ფილმის“ ოკლემეტრაჟიანი ფილმები. კულტურის სახლის ფოიეში გაიხსნა ირინე ხეჩინაშვილის ნამუშევრების გამოფენა, რომელმაც წარმოადგინა ასზე მეტი გრაფიკული ნაწარმოები და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

* * *

მოსკოვის პირველი მაისის რაიონის უფროსკლასელთა შეხვედრა გაიმართა კინოთეატრ „თბილისში“, სადაც მოწყობილია ახალგაზრდა ქართველი მხატვრის დათო კრაწაშვილის ნამუშევრების გამოფენა.

დ. კრაწაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოსწავლეებს ესაუბრა ჟურნალ „ისკუსტვო კინოს“ პასუხისმგებელი მდივანი, პროფესორი ლ. გელმანი.

მოსკოვის სკოლების 350 ქალიშვილმა და ვაჟმა ინტერესით დაათვალიერა დ. კრაწაშვილის ნამუშევრები, მოისმინა მისი მშობლების მოგონება. ამ შეხვედრაზე მოვიდნენ მოსკოველი ნორჩი მხატვრის ნადია რუშევას მშობლებიც. ორი ნიჭიერი ყმაწვილის ბედი ერთმანეთს ჰგავს — ორივე ადრე გამოეთხოვა სიცოცხლეს. მაგრამ ის, რისი გაკეთებაც მოასწრეს, საკმარისია, რომ დავაფასოთ მათი დიდი ნიჭი, საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული.

მოსწავლეებმა შთაბეჭდილებათა წიგნში ბევრი საინტერესო ჩანაწერი დატოვეს. (საქინფორმი).

„მომავალ შეხვედრამდე“...

აფხაზეთის უნივერსიტეტის დღეები თბილისის უნივერსიტეტში

რა უნდა განხორციელდეს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის? რა დახმარება უნდა გაუწიოს აფხაზ მეგობრებს ახალგაზრდა უმაღლესი სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად? ამ და სხვა კითხვებს უპასუხებს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და კათედრების ხელმძღვანელებმა.

აფხაზი პროფესორები და დოცენტები შეხვდნენ თბილისის უნივერსიტეტის მონათესავე კათედრების მუშაკებს, გაეცნენ სასწავლო პროცესის ორგანიზაციას, მეცნიერული მუშაობის ძირითად მიმართულებებს. ისინი თბილისელ კოლეგებს ესაუბრნენ თავიანთი საქმიანობის შესახებ, განიხილეს ისტორიკოსების, ფიზიკა-მათემატიკოსების, ბიოლოგების, ეკონომისტების, ორივე უმაღლესი სასწავლებლის სხვა სპეციალისტების ურთიერთობის განმტკიცების კონკრეტული გზები.

გვესაუბრებიან ამ შეხვედრების მონაწილენი.

გ. ჯოზაძა, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი:

— ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, თბილისელი მეგობრების დახმარების წყალობით, უკვე საკმაოდ ეფექტიანად მუშაობენ, ასრულებენ საინტერესო დავალებებს სამეურნეო ხელშეკრულებების მიხედვით. დღის წესრიგშია სასწავლო ლაბორატორიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება. სწორედ ამის შესახებ ვესაუბრეთ ქართველ კოლეგებს. თბილისის უნივერსიტეტის მაღალ ენერგიათა ფიზიკის ინსტიტუტმა ამას წინათ გადმოგვცა საზომი აპარატურა. ახლა კი შევთანხმდით, რომ მალე თბილისიდან სოხუმში გაიგზავნება ჩვენთვის ესოდენ საჭირო მოწყობილობის მორიგი პარტია.

დ. გულია, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე, დოცენტი:

— ჩვენი ძირითადი პრობლემაა სტუდენტთა სპეციალიზაცია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს სამი ისტორიის კათედრა, ჩვენთან — ერთი. ამიტომ დეტალურად გავეცანით მეთოდიკური მუშაობის გეგმებს, იმას, თუ როგორ ხდება თემების შერჩევა და განაწილება სტუდენტებს შორის. თბილისელი ამხანაგების კონკრეტული საქმიანი რჩევა-დარიგება ამ მიმართულებით დაგვეხმარება ავამაღლოთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების ეფექტიანობა.

ბ. ბურბულია, რუსული და საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრების გამგე, დოცენტი:

— ჩვენ ვაფართოებთ ლექციების თემატიკას, ამიტომ ვთხოვეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელებს რეგულარულად გამოგზავნონ სოხუმში წამყვანი სპეციალისტები, კერძოდ, რუსეთ-საქართველოსა და რუსეთ-კავკასიის კავშირურთიერთობის დარგის სპეციალისტები. კონტაქტები, რომლებიც დამყარებული გვაქვს კათედრის გამგესთან, პროფესორ ვ. შადურთან, მალე გაფართოვდება. ლექციების წასაკითხად მოველით პროფესორებს თ. ბუაჩიძეს, გ. ფალიაშვილს, სხვა ცნობილ ლიტერატურათმცოდნეებს. ყოველივე ზემოთ თქმული ეხება ჩვენი საზღვარგარეთის ლიტერატურის შესწავლის საკითხებსაც.

იმ დროს, როცა პროფესორები და დოცენტები წყვეტდნენ მათთვის საინტერესო საკითხებს, აფხაზეთის დელეგაციის ყველაზე ახალგაზრდა წევრები ეწვივნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდქალაქს.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო თანამემამულენო“ — მიესალმა ქალიშვილებსა და ვაჟებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი მ. კენჯია. იგი მესამე წელია ცხოვრობს თბილისში და სწავლობს ვაჭრობის ეკონომიკის ფაკულტეტზე.

სცენაზე ავიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმოქმედი მსახიობები. აფხაზი მეგობრების პატივსაცემად გამართული კონცერტის მონაწილეთა შორის იყვნენ ნეპალიდან, ავღანეთიდან, ინდოეთიდან, იორდანიიდან, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკიდან ჩამოსული ახალგაზრდები — თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები. შემდეგ კი უნივერსიტეტის სტუდქალაქის სტუდენტთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. ბუაძემ შეხვედრის ყველა მონაწილე დისკოთეკაში მიიწვია.

იმავე დღეს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ეწვივნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმს.

✦ ✦

აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელები მიიღო საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. მენთეშაშვილმა.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში მიღებაზე იყვნენ საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ვ. ალექსანდროვი.

თ. მენთეშაშვილი სტუმრებს ესაუბრა იმის შესახებ, თუ რით ცხოვრობს საქართველოს დედაქალაქი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული დადგენილების მიღების მე-10 წლისთავის წინ, სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავის წელს.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ზ. ანჩაბაძემ, ვ. ალექსანდროვმა, პოეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო პრემიისა და დ. გულიას სახელობის პრემიის ლაურეატმა ი. თარბამ მხურვალე მადლობა გადაუხადეს საქართველოს დედაქალაქის პარტიულ ორგანიზაციას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას გულთბილი მიღებისათვის.

ამიერიდან აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა შეხვედრები რეგულარული გახდება, აღინიშნა შეხვედრაზე. უკვე მიმდინარე წლის შემოდგომაზე თბილისის უნივერსიტეტის დელეგაცია ეწვევა აფხაზეთს. მომავალში უმაღლესი სასწავლებლების მეგობრობის დღესასწაულებზე მოისმენენ ანგარიშებს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებების მუშაობის შესახებ. უახლოეს პერსპექტივაშია შეიქმნას აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა გაერთიანებული საბჭო, საერთო მეცადინეობით დამუშავდეს კონკრეტული მეცნიერული პრობლემები.

სახელოვანი ტრადიციების ერთგულება

ბათუმი. შესრულდა გაზეთების „საბჭოთა აჭარისა“ და „სოვეტსკაია ადჟარიას“ პირველი ნომრების გამოსვლის 60 წელი. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეს დაარსებული ეს გაზეთები ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის მშრომელთა ფართო მასების დარაზმვის მძლავრ იარაღად იქცნენ.

საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა ახასიათებს საოლქო გაზეთების წვლილს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, მათთვის პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის მაღალი გრძნობების ჩამოყალიბებაში, საბჭოთა ცხოვრების წესის პროპაგანდაში, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

იუბილე აღინიშნება იმ ღირსსახსოვარ დღეებში, როცა საბჭოთა საქართველო შთაგონებით იღვწის სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. „საბჭოთა აჭარაც“ და „სოვეტსკაია ადჟარიაც“ პირნათლად ასრულებენ თავიანთ მაღალ მისიას — ღრმად განმარტავენ და ფართო პროპაგანდას უწევენ ყრილობათა მასალებს და გადაწყვეტილებებს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში ჩამოყალიბებულ დებულებებს, დასკვნებსა და მითითებებს, მკაფიოდ აშუქებენ აჭარის ასს რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლას მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის.

გუშინ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საიუბილეო კრება, რომელიც საოლქო გაზეთების პირველი ნომრების გამოსვლის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

თეატრის დარბაზში თავი მოიყარეს პარტიული, საბჭოთა ორგანოების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, ჟურნალისტებმა, პოლიგრაფისტებმა, პრესის გამავრცელებლებმა, გაზეთების აქტივისტებმა — მუშა და სოფლის კორესპონდენტებმა.

პრეზიდიუმში იყვნენ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელები, გაზეთების რედაქტორები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

დამსწრეთა ტაშის გრიალში საზეიმო კრების საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. გუგუნავამ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება გაზეთების „საბჭოთა აჭარისა“ და „სოვეტსკაია ადჟარიასადმი“ მე-60 წლისთავთან დაკავშირებით.

მოხსენებები გააკეთეს გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორმა შ. ქურიძემ და გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარიას“ რედაქტორმა ვ. მარლანიძემ.

საიუბილეო კრებაზე გამოსულებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საოლქო გაზეთებს დიდი მუშაობა მოელით სარედაქციო კოლექტივების შემოქმედებითი პოტენციალისა და ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლებისათვის. მათ ფართოდ უნდა გააშუქონ იმ მუშაობის გამოცდილება, რომელსაც პარტიული ორგანიზაციები ეწევიან მშრომელთა დასარაზმავად სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებების შესრულებისათვის.

ორატორებმა რედაქციების კოლექტივებს უსურვეს კვლავაც ნიადაგ მისდიონ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის სახელოვან ლენინურ ტრადიციებს, ღირსეულად ატარონ საბჭოთა ჟურნალისტის წოდება, ნდობა გაუმართლონ პარტიასა და ხალხს.

საზეიმო საღამოს დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე.

(საქინფორმი).

ზამთრის სურათები



ა. მამაპარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სტუმრები ავღანეთიდან

საქართველოში იმყოფება ავღანეთის პიონერულ მუშაკთა დელეგაცია, რომელიც ეცნობა რესპუბლიკური პიონერული ორგანიზაციის საქმიანობას. დელეგაციის მეთაურობს ქაბულის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი სიმო იუსუფი.

მდიდარია საქართველოში ავღანელი მეგობრების ყოფნის პროგრამა. ისინი ეწვევიან საწარმოებსა და მეურნეობებს, სასწავლებლებს და შემოქმედებითი ორგანიზაციებს, კომკავშირული და პიონერული კადრებისა და აქტივის მოსამზადებელ რესპუბლიკურ ცენტრს — კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს, საქართველოს ხალხთა მეგობრობის მუზეუმს და კომკავშირის ისტორიის მუზეუმს, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს, გაეცნობიან კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების საქმიანობას.

თოვლი, გზა, ტრანსპორტი

უსაფრთხოების გარანტია

უხვთოვლიანი გამოდგა თებერვალი. მთელი საქართველო თოვლის თეთრ საბურველშია გახვეული. მართალია, თოვლი ზამთრის მშვენებაა, მაგრამ ტრანსპორტლებს, ავტომანქანების მძღოლებს იგი დამატებით საზრუნავს უჩენს. ზამთრის პირობებში, დათოვლილ და ყინვით მოლიპულ გზებზე რთულდება მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მძღოლის მიერ დაშვებულ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო შეცდომას ან დაუდევრობას, შესაძლოა, უმძიმესი შედეგი მოჰყვეს. რასაკვირველია, მშვიდობიანი მგზავრობისათვის უპირველესად აუცილებელია საგზაო მოძრაობის წესების განუხრელი დაცვა, კონკრეტული საგზაო პირობების შესაბამისი ოპტიმალური სიჩქარის შერჩევა. მძღოლს საბარგულში ყოველთვის უნდა ეგულებოდეს მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვი, მაგრამ ზოგიერთი უგულებელყოფს წესების ამ აუცილებელ მოთხოვნებს და ლოგიკური შედეგიც არ აყოვნებს — ერთი ისე იშვიათობაა ზამთრის გზებზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები.

30 იანვარს თბილისიდან თეთრი წყაროს მიმართულებით მიდიოდა ავტომანქანა „ჟიგული“ (99-41 გვფ), რომელსაც მართავდა თბილისის საცდელი ექსპერიმენტული ქარხნის მუშაკი ქ. კულიანიძე. მძღოლმა მარნეულთან, მოყინულ გზაზე ვერ უზრუნველყო უსაფრთხო მოძრაობა, ავტომანქანა მოცურდა და გადაბრუნდა, დაშავდა ავტომანქანის სალონში მყოფი მოქალაქე.

ასევე არ დაიცვა საგზაო მოძრაობის წესები მცხეთის რაიონში მოყინულ გზაზე ავტომანქანით (82-86 გაი) მოძრაობისას საქსახსოფლტექნიკის № 8 მოძრავ-მექანიზებული კოლონის საქონელმცოდნემ ტ. დევდარიანმა. წესების დარღვევას ის მოჰყვა, რომ ავტომანქანა ყინულზე მოცურდა და ბეტონის კედელს შეეჯახა. შეჯახების შედეგად დაშავდა თვით მძღოლი და მისი მეუღლე.

მოქალაქე ნ. სტამბოლოვმა თეთრი წყაროს გზაზე მამის კუთვნილი ავტომანქანით (ა 46-72 გა) დაარღვია მოძრაობის წესები, გადააჭარბა სიჩქარეს, რის შედეგადაც მოლიპულ გზაზე ავტომანქანა მოცურდა, მოსახვევში გადავიდა გზის სავალი ნაწილის მარცხენა მხარეს და შეეჯახა შემხვედრი მიმართულებით მოძრავ ავტომობილს. დაჯახების შედეგად დაშავდნენ მძღოლი ნ. სტამბოლოვი და მის ავტომანქანაში მყოფი ორი მგზავრი.

ყველა აღნიშნული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, შესაძლოა, გაცილებით მძიმე შედეგით დამთავრებულიყო. ამის დამადასტურებელი მაგალითები, სამწუხაროდ, ცოტა როდია.

გზა ყოველთვის უცილობლად მოითხოვს მძღოლებისაგან საგზაო მოძრაობის წესების განუხრელ დაცვას, მით უმეტეს თოვლიან ზამთარში. ეს უსაფრთხოების უზრუნველყოფის უპირველესი გარანტიაა.

ა. ნოზაძე,
რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს ინსპექტორი.

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

საერთაშორისო ღელეპირის ზურბზე ცხოვრება

20 თებერვალი

● აშშ

ბანდიტური აქცია

ვაშინგტონი. 18 თებერვალს ღამით ვაშინგტონში აეროფლოტის წარმომადგენლობის შენობასთან აფეთქდა ბომბი, რის შედეგადაც შენობა სერიოზულად დაზიანდა. მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის გამო არც ერთი თანამშრომელი არ დაშავებულა.

მოგვიანებით „ებრაელთა დაცვის ლიგის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აფეთქება მოახდინა ამ სიონისტურმა ორგანიზაციამ.

აეროფლოტის წარმომადგენლობასთან მომხდარი აფეთქება მხოლოდ ერთი რგოლია იმ ტერორისტული აქტების ჯაჭვში, რომლებსაც დამნაშავე ელემენტები სჩადიან ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა დაწესებულებებისა და მათი პერსონალის წინააღმდეგ.

სსრ კავშირის საელჩომ მტკიცე პროტესტი განუცხადა სახელმწიფო დეპარტამენტს ბანდიტური აქციის გამო.

● ინგლისი

სავალალო აღიარება

ლონდონი. „ქალბატონო პრემიერ-მინისტრო, დაუბრუნდებით თუ არა ოდესმე სრულ დასაქმებას?“ — „არ ვიცი“. ასეთი სავალალო აღიარებით დაამთავრა ინგლისის აი-ტი-ვის ტელექსელისათვის მიცემული ინტერვიუ დიდი ბრიტანეთის კონსერვატორთა კაბინეტის მეთაურმა მ. ტეტჩერმა.

იგი კვლავ შეეცადა გაემართლებინა კონსერვატორთა ეკონომიკური კურსი, ამტკიცებდა, თითქოს მან „გაადიდა ინგლისის კომპანიების კონკურენტუნარიანობა“ და „საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკის გაჯანსაღებას“. ეს განცხადებები გაისმა სულ ერთი დღის შემდეგ, რაც ადგილობრივმა პრესამ გამოაქვეყნა მონაცემები უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში სამრეწველო წარმოების ყველაზე ღრმა დაქვეითების შესახებ.

● ნიგერია

ამხილეს შეთქმულება

ლაგოსი. ნიგერიის სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა დააპატიმრა სამხედრო და სამოქალაქო პირთა ჯგუფი, რომლებსაც ბრალად ედებათ ამბოხების წაქეზება. ეს ნათქვამია რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის მიერ აქ გავრცელებულ განცხადებაში.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ნეშლ კონკორდი“ აღნიშნავს, რომ შეთქმულნი აპირებდნენ ქვეყნის სამოქალაქო მთავრობის დამხობას და სამხედრო მმართველობის დამყარებას.

● თურქეთი

დევნა გრძელდება

[illegible]

● ესპანეთი

გასამართლება დაიწყო

მადრიდი. ესპანეთის დედაქალაქის გარეუბანში დაიწყო შარშან 23 თებერვალს სახელმწიფო გადატრიალების ცდის მონაწილე 33 პირის სასამართლო პროცესი. განსასჯელის სკამზე არიან გენერალ-ლეიტენანტი ხაიმე მილანს დელ ბოსკო, დივიზიის გენერალი ალფონსო არმადა, სამოქალაქო გვარდიის პოდპოლკოვნიკი ანტონიო ტეხერო მოლინა და სხვა შეთქმულნი. წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ სამხედრო პროკურორმა თითოეული მათგანისათვის მოითხოვა 30 წლის პატიმრობა.

შემთხვევა

ჩაიძირა სამხედრო ხომალდი

ლუსაკა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ფლაგმანი — ნავსაწინააღმდეგო ფრეგატი „პრეზიდენტი კრიუგერი“ ჩაიძირა ატლანტის ოკეანეში გამართული ღამის სამხედრო მანევრების დროს. იგი კეიპტაუნის სამხრეთით 125-ე კილომეტრზე დაეჯახა დამხმარე გემს „ტაფელბერგს“.

ეს დაადასტურა პარლამენტში თავდაცვის მინისტრმა დ. მილანმა. მან განაცხადა, რომ ეკიპაჟის 193 წევრიდან 16 „უგზო-უკვლოდ დაიკარგა“.

ყველა გზა ესპანეთში მიდის

თბილისის დინამოელებმა დაიწყეს ახალი სეზონისათვის მზადების დასკვნითი ეტაპი

ყაბაყი

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები, რომლებიც სსრ კავშირის მორიგი ჩემპიონატისა და ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩებისათვის ემზადებიან ვარშავის „ლეგიასთან“ შესახვედრად, ლესელიძეში გაემგზავრნენ სასწავლო საწვრთნელ შეკრებაზე. ეს ახალი სეზონისათვის გუნდის მზადების დამამთავრებელი ეტაპია. დინამოელები სრული შემადგენლობით შეიკრიბნენ. კლუბში დაბრუნდნენ ა. ჩივაძე, დ. ყიფიანი, თ. სულაქველიძე, ვ. დარასელია, რ. შენგელია, რომლებიც სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ესპანეთის სტადიონებზე.

საქინფორმის კორესპონდენტს ამ ტურნეს შთაბეჭდილებები გაუზიარა **რამაზ შენგელიამ.**

— მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადება ინტენსიურად მიმდინარეობს, — თქვა მან. — ჩემპიონატის ორგანიზატორები ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ფეხბურთის მოედნებს, რომლებიც ჩინებულად არის მოვლილი.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ნაკრები პირველ მატჩებს ქალაქებში სევილიასა და მალაგაში გამართავს. სევილიის სტადიონი დაახლოებით 70 ათას მაყურებელს იტევს, მალაგისა — ორჯერ ნაკლებს.

— **როგორია ჩემპიონატის მასპინძელთა წინასწარი პროგნოზი?**

— სპეციალისტთა აზრით, უძლიერესად ითვლება ჩვენი ქვეჯგუფი. მსოფლიო ჩემპიონატის მომავალ გამარჯვებულთა შორის ასახელებენ ბრაზილიის, არგენტინის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს. თვით მასპინძლებს მიაჩნიათ, რომ ესპანეთის ნაკრებს ნაკლებად აქვთ წარმატების შანსი.

ესპანეთში ძალზე გულთბილად შეგვხვდნენ. გაზეთებში ყოველდღიურად იბეჭდებოდა მასალები საბჭოთა ფეხბურთელების მზადების შესახებ, ქვეყნდებოდა მათი ფოტოსურათები, ხოლო ორი ბრაზილიელი ჟურნალისტი პირდაპირ კუდში დაგვდევდა, ქალაქში სეირნობის დროსაც კი არ გვშორდებოდა. მათ მდიდარი კინო და ფოტომასალა შეაგროვეს.

მადრიდში ღირსსახსოვარი შეხვედრა გვქონდა. სასტუმროში მოგვინახულეს „რეალის“ მწვრთნელმა და ამ კლუბის მოთამაშემ, თქვენთვის კარგად ცნობილმა ანხელმა, რომელმაც გასული წლის შემოდგომაზე დათო დავითაიას ტრავმისათვის. ესპანელმა ფეხბურთელმა ბოდიში მოუხადა დავით ყიფიანს მიყენებული ტრავმისათვის. ანხელმა მადრიდის ნაკრებში ითამაშა საბჭოთა გუნდთან. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. ამჯერად ესპანელი ზედმიწევნით კორექტული იყო.

— **როგორ აფასებთ თქვენ „დინამოს“ შანსებს „ლეგიასთან“ მატჩებში?**

— ჩვენ საკმაოდ ვართ ინფორმირებული პოლონეთის გუნდის შესახებ. ეს სერიოზული მეტოქეა და მასთან შეხვედრებისათვის მთელი პასუხისმგებლობით ვემზადებით.

— **თუ გაიმართება „ლივერპულთან“ შეხვედრა „სუპერთასზე“?**

— ალბათ, აღარ. ჩვენ დათქმული გვქონდა მატჩის ვადა, მაგრამ ინგლისელებმა დღემდე არ გვაღირსეს თანხმობა.

ლესელიძეში დინამოელები ერთ კვირას იქნებიან. აქ ისინი გამართავენ ორ საკონტროლო მატჩს — შეხვდებიან ალმა-ათის „ყაირატსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივს“, შემდეგ თბილისში დაბრუნდებიან და აქედან ვარშავას გაემგზავრებიან.

თასისათვის ბრძოლა დაიწყო

19 თებერვალს დაიწყო ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი ეტაპი. ბრძოლაში პირველები ჩაებნენ ლენინგრადის ზონის წარმომადგენლები. გთავაზობთ პირველი ტურის შედეგებს: მინსკის „დინამო“-რიგის „დაუგავა“ — 4:1, ლენინგრადის „ზენიტი“-ვოროშილოვგრადის „ზარია“ — 1:1, ვილნიუსის „ჟალგირისი“ — ლვოვის სკა-კარპატი — 0:2. ასპარეზობის პირველ ეტაპზე, რომელიც 4 მარტს დასრულდება, მონაწილეობას მიიღებს 40 გუნდი. ლენინგრადის გარდა მატჩები გაიმართება სიმფეროპოლში, ბაქოში, ერევანში, ადლერში, სოჭსა და მოსკოვში. მერვედფინალში გავა ორ-ორი გუნდი პირველი ხუთი ჯგუფიდან და თითოთითო ბოლო ორი ჯგუფიდან. თასის გათამაშების მეოთხედფინალში ჩაებმებიან თბილისისა და კიევის დინამოელები, რომლებიც ევროპის ტურნირებში მონაწილეობენ.

სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩი გაიმართება 9 მაისს მოსკოვში.

ჭადრაკი

ერევნის ზონალურ ტურნირზე

ერევანი. მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირს სამი ტურის შემდეგ 2,5 ქულით ლიდერობს სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი კრასნოიარსკელი ლ. ფსახისი. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან დიდოსტატები რ. ვაგანიანი (ერევანი), გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი), ვ. კუპრეიჩიკი (მინსკი) და ა. იუსუპოვი (მოსკოვი). 1,5-1,5 ქულა მოაგროვეს ე. გელერმა (მოსკოვის ოლქი), ო. რომანიშინმა და ი. დორფმანმა (ორივე — ლვოვი). ორი შესაძლებლიდან თითო ქულა აქვთ თ. გიორგაძეს (თბილისი), ვ. ტუკმაკოვს (ოდესა), გ. აგზამოვს (ტაშკენტი) და ს. დოლმატოვს (მოსკოვი), თითო ქულა აქვთ აგრეთვე ე. სვეშნიკოვს (ჩელიაბინსკი) და ვ. გავრილოვს (ვილნიუსი). ი. ზაიცევმა (მოსკოვის ოლქი) და ვ. ცეშკოვსკიმ (კრასნოდარი) — 0,5-0,5 ქულა მოაგროვეს.

ერევნის ზონალურ ტურნირში მონაწილე 16 საბჭოთა მოჭადრაკიდან 13 დიდოსტატია, ერთი საერთაშორისო ოსტატი და ორი ოსტატი. ყველა მონაწილე ტურნირის სტარტიდანვე უშეღავათოდ იბრძვის საზონათშორისო ტურნირის ოთხი საგზურისათვის.

ყოველი სამი ტურის შემდეგ იმართება გადადებული პარტიების დამთავრება, ხოლო მეექვსე და მეთორმეტე ტურის შემდეგ მოჭადრაკეებს დასვენების დღე ექნებათ.

დაწინაურდა ტიმანი

[illegible]

ოთხთა ტურნირი

19 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო უმაღლესი ლიგის დარჩენისათვის მოასპარეზე კალათბურთელ კაცთა გუნდების მორიგი ტური. თბილისის „დინამო“ პირველ მატჩში შეხვდა მინსკის რტო-ს. თბილისელებმა ძალზე უფერულად ჩაატარეს მატჩი, განსაკუთრებით პირველი ტაიმი, მეორე ტაიმის დასკვნით ნაწილში ქართველმა კალათბურთელებმა მთელი ძალით შეუტიეს მეტოქეს, ქულათა სხვაობაც მინიმუმამდე დაიყვანეს, მაგრამ მეტის გაკეთება ვეღარ შეძლეს და ორი ქულის სხვაობით დამარცხდნენ. ანგარიშით 89:87 (49:34) გამარჯვება მინსკელმა კალათბურთელებმა.

გუშინ თბილისის „დინამო“ დამაჯერებლად ჩაატარა ტალინის „კალევთან“ და გაიმარჯვა — 72:63 (40:30). პირველი ტურის შეხვედრაში ტალინელებმა სძლიეს კუიბიშევის „სტროიტელს“ — 69:67 (30:39).

გაიმართა სსრ კავშირის კალათბურთელთა ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. ცსკა-მ ვილნიუსის „სტატიბა“ 87:72 (49:42) დაამარცხა. „სტროიტელმა“ მოუგო მოსკოვის „დინამოს“ 94:85 (54:41).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

ტელევიზია

21 თებერვალი

პირველი პროგრამით: 9.00 — „ვრემია“ (მ.), 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გზა თეთრი კოშკებისაკენ“. 10.00 — „მოამბე“, 10.30 — დოკუმენტური ფილმი, 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — საძიებელი, პრობლემები“, 11.45 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ცეცხლში ნაწრთობი“. 12.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.). 12.45 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი, 13.15 — „თქვენთვის, პატარებო!“ — „ცეროდენა ეკრანი“, 13.35 — მოსწავლეებისთვის — „სსრ კავშირი ჩემი სამშობლოა“, 14.50 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის“ — გადაცემა „დიდი ძმობა“, 15.25 — „ოლიმპიო“, 17.50 — „ვესტნიკი“. 18.20 — გადაცემა „აღმასვლის ათი წელი“, 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.). 19.45 — „თქვენთვის, პატარებო!“ — „ზღაპრების ზღუდე“, 20.00 — „მოამბე“. 20.30 — დ. კლდიაშვილი. „ირინეს ბედნიერება“ — სატელევიზიო სპექტაკლი (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — კინოკონცერტი. 23.15 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. „დინამო“-კუიბიშევის „სტროიტელი“ მეორე ტაიმის ჩანაწერი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 09085 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო ქორპუსი, ხოშარაულის 29.